№ 2940
ხუთშაბათი,
3 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2940
ხუთშაბათი,
3 ნოემბერი

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

შეკერილ ტანისამოსის

ახლად გახსნილ მაღაზიაში

„ექსელანს" გოლოვინის პროს., ტფილისის საკრებულოს ქვეშ, სახლი მანთაშევისა.

არის

დიდძალი კაცის, ქალის და ბავშვის ტანისამოსი, ფორმის ტანისამოსი ყველა სასწავლებლის და სამოქალაქო დაწესებულებისა. შეიძლება შეკვეთა კაცისა და ქალის ტანისამოსისა. განუწყვეტლივ მოგვდის ყველაფერი, რაც ახალია ბერლინისა, პარიზისა და მოსკოვის სავაჭრო სახლიდან.

მ. და ი. მანდლ

აიპოვება ყოველ გვარი საქონელი საზღვარ-გარეთის და რუსის ქარხნებისა. მთელი მასალა, დამზადებული საკუთარ ქარხანაზე ადესაში, შეძლებას აძლევს „ექსელანს"-ის მაღაზიას მეტად იაფი ფასები დანიშნოს.

საქონლის ყიდვა შეუვაჭრებლად

„ექსელანსის" მაღაზიას სრული იმედი აქვს, რომ ტფილისის პატივცემული საზოგადოება პირადად მობრძანდება და გაიცნობს ყველაფერს.

(50—6.—18)

№ 4 **ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში** № 4

ხუთშაბათს, 3 ნოემბერს 1905 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პი

ცხოვრების გარეშე

დრამა 4 მოქმ. პროტოპოპოვისა, თარგ. შველიძის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გაბუნია ცაგარლისა დ. ივანიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ლეჟავა; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ს. სვიმონიძე, ზ. საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი.

წარმოდგენა დაიწყება საღამოს 8 საათზედ

ადგილების ფასი დაკლებულია შეგირდებისათვის ადგილები ლოჟებში 40 კაპ.

მზადდება წარმოსადგენად: „ახალი ძალა" „სულით ობოლნი", „თანაბარი სისწორე".

„ალაზანი"

კახეთიის მევენახეთა ამხანაგობამ

დაიწყო ღვინით ვაჭრობა. მიხაილოვის პროსპექტი, სახლი ზურაბოვისა № 116, ტელეფონი 792

(10 6)

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

ტფილისში

მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. გ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.

ი. ნ. ეგიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.

პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

ზ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.

ი. ე. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

მ. პ. კიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.

მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.

პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—19)

ექიმი

გ. ი. ტერ-გრიგორიანცი

იღებს შინაგან (სპეციალურად ფილტვის) ავადმყოფებს და ბავშვებს. გასინჯვა და მკურნალობა რენტგენის სხივებით. ავადმყოფები მიიღებიან დილით 10—12 ს. საღამოთი 5—7 ს.-მდე. მიხეილის პროსპ. № 154. (თვ.—371—19)

კბილის ექიმი

ი. ზ. კანდელაკი

გადავიდა ახალ ბინაზედ მიხეილის პროსპექტი, № 44, სახლი აბულაძისა.

იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს, სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველ გვარ მეთოდზე, დილის 9—2 და საღამოს 5—6 საათამდე. (თვ.—80—25)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარ სახლი № 20. ტელეფონი 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

მედიცინის დოქტორი

მ. ი. მურადოვი

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10 დან-—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (50—368—18)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილ. 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა, სახლი სვანიშვილისა № 15

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეობით 10—1-მდის.

მედიცინის დოქტორმა

გ. ი. ბურგენოვა,

შტატის ორდინატორად ნამყოფმა ხარკოვის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკაში, განაახლა საბებიო და ქალის სნეულობით ავადმყოფთა მიღება. დილით 10—12 საათზე, საღამოთი 5—6 საათზე. გოლოვინის პროსპ., სახ. მდივნისა, № 12, საარტისტო საზოგადოების შენობის პირდაპირ. (თვ.—406—9)

ექიმი

მ. პ. ბეჟირგანოვი

სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7½ საათ. (თვ.—5)

ექიმი

პ. ა. არდაზიანი

იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილის 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა.

ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (16—024—4)

გამარჯვება! ქუთაისის გუბერნატორის სტაროსელსკის მოხსენების თანხმად ნამესტნიკმა ახსნა ქუთაისის გუბერნიას საომარი დროის წესები და ბრძანება გასცა ჯარები ეხლავე გამოყვანილ იქმნას. დღეს სტაროსელსკი საგანგებო მატარებლით იმერეთში წავიდა.

ტფილისი, 3 ნოემბერი.

თვითმპყრობელობით დაავადებული რუსეთი კაი ხანია, რაც მარტოოდენ სამხედრო ძალის საშუალებით ახერხებდა შინაგან სნეულების დაფარვას და გარეგნობით მთლიანობის და წესიერების დაცვას. სამხედრო ძალა—ერთად ერთი ფარ-ხმალი-და იყო თვითმპყრობელ მთავრობისა, და ამიტომ იმისი მზრუნველობა და მეცადინეობა პირველ ყოვლისა იქითკენ იყო მიქცეული, რომ ჯარს არავითარი კავშირი არ ჰქონოდა ხალხის სამოქალაქო ცხოვრებასთან, მოწყვეტილიყო სრულიად ხალხის ინტერესებს, დაევიწყნა თავის ადამიანობა და გადაქცეულიყო ცოცხალ და შეუპოვარ მანქანად „შინაურ მტრების" ასალაგმავად. ამ განზრახვით შემოღებულ იქმნა ოთხწლიანი სალდათობა და წესი ჯარისკაცების გაგზავნისა სამხედრო ბეგრის მოსახდელად სამშობლო კუთხიდან იმპერიის სხვა, შორეულს ადგილებში. საშუალება უებარი გამოდგა: ძველის რეჟიმის ერთგული აგენტები სალდათად გაყვანილ ყმაწვილ-კაცებს დღე და ღამ უთქვეფავდნენ თავში აზრს, რომ მათთვის, უცხო ქვეყანაში გადახვეწილთათვის, მარტო მთავრობა ჰზრუნავს, რომლის წინაშეც სინიდისი და ადამიანური გრძნობა იმათგან შეურყეველ ერთგულებას და ყურმოჭრილებას ითხოვსო. ეს ზნეობრივი სწავლა მით უფრო ადვილად უნდა შეეთვისებინათ ჯარისკაცებს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკი სასჯელი მოელოდათ.

გამანქანავებული ჯარისკაცი უცხო ქვეყანაში, უჩვევ ჰაერზე და სასტიკ დისციპლინის ატმოსფერაში მალე სახიჩრდებოდა ზნეობრივად და ფიზიკურად. საქართველოდან რუსეთის ჩრდილოეთ ნაწილებში გადახვეწილი სალდათები ნახევარზე მეტი იქვე იხოცებოდა და დანარჩენი ავადმყოფნი და საოჯახო შრომისთვის გამოუსადეგარნი ბრუნდებოდნენ ოთხის წლის შემდეგ. თქმა არ უნდა—ეს ჭეშმარიტად აუტანელი მდგომარეობაა.

ლიბერალები დაფაცურდნენ, ციფრებით და ზნეობრივ არგუმენტებით ხელში ამტკიცებდნენ საჯარო დარბაზებში და საგაზეთო წერილებში, სამხედრო ბეგარის არსებულ სისტემის მავნებლობას ხალხის ინტერესებისთვის. ლიბერალებს იმედი ჰქონდათ გავლენა მოეხდინათ მმართველ წრეებზე და შეეცვლევინებინათ წესი სალდათობისა, მაგრამ ეს იმედი ისევე უნიადაგო გამოდგა, როგორც ბევრი სხვა ლიბერალური ოცნება.

ქიზიყისა და კახეთის ქართველმა გლეხობამ პირველად მიაგნო ჭეშმარიტს, ერთად ერთ ნამდვილ საშუალებას, ერთად-ერთს არგუმენტს, რომელსაც შეუძლიან „დაარწმუნოს" მთავრობა, რომ შეუძლებელია ძველის წესის სალდათობის შერჩენა. გლეხებმა ციფრების და მოსაზრებათა წამოყენების ნაცვლად, მარტივად და უბრალო სიტყვით განაცხადეს, არ მივდივართ სამხედრო ბეგარის მოსახდელად, ვიდრე აქვე, ჩვენსავე სამშობლოში არ მოგვახდევინებთ იმას, და ოთხის წლის ნაცვლად ორის წლით არ დაკმაყოფილდებითო.

გვატყობინებს რა გლეხობის ამგვარ მოქმედებას, ჩვენი თელაველი კორრესპონდენტი დასძენს, ვნახოთ, რა იქნებაო. ამ სიტყვებში ცოტა უიმედობა გამოიხატება. ჩვენის ფიქრით, აქ უიმედობას სრულიად ადგილი არა აქვს.

ხალხის მოთხოვნა სამართლიანია, ამ მოთხოვნას ყველა წრეები მხარს მისცემენ და უეჭველია გასტეხენ ძველის რეჟიმის ძველს სამხედრო ბეგარას, ისე, როგორც ყველაფერს, რაც-კი ძველ რეჟიმს საკუთარის არსებობის დასაცველად შეუქმნია და არა ქვეყნის და ხალხის საკეთილდღეოდ.

* * *

რეაქციის ახალი ნიშანი პოლონეთის გამოცალკევება და 17 ოქტომბრის მანიფესტის გაუქმება პოლონეთისთვის, ვწერდით გუშინ, პირველი გაბედული ნაბიჯია გრაფ ვიტტეს მმართველობისა სამოქალაქო თავისუფლების გაუქმებისკენ, რომელსაც, ალბად, მალე სხვებიც მოჰყვებაო. საუბედუროდ, ჩვენი პესსიმისტური წინასწარმეტყველება მეტად მალე, მეტად ჩქარა გამართლდა!

დღეს დეპეშებში წაიკითხავთ, რომ 31 ოქტომბერს უმაღლესად დამტკიცებული ყოფილა ინსტრუქცია გენერალ-ადიუტანტებისთვის. ეს გენერალ-ადიუტანტები იგზავნებიან სარატოვის, ჩერნიგოვის და ტამბოვის გუბერნიებში „მშვიდობიანობის" დასამყარებლად. ამ დავალების ასასრულებლად გენერალ-ადიუტანტებს უქვემდებარდებათ ადგილობრივი ჯარი და პოლიცია; იმათი განკარგულება სავალდებულოა ყველა ადგილობრივ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებისთვის, გარდა სასამართლოსი და სახელმწიფო კანტროლისა. სხვათა შორის გენერალ-ადიუტანტებს უფლება ეძლევათ, დააპატიმრონ საზოგადო მშვიდობიანობისა და წესიერებისათვის, მათის აზრით, მავნე პირნი, დაკეტონ სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებანი, აკრძალონ გამოცემა გაზეთებისა, ჟურნალებისა, ბროშიურებისა და სხვათა; გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი და სხვა.

ეს ინსტრუქცია თავიდან ბოლომდე ძველის სტილისაა. როგორც წინად, ეხლაც მშვიდობიანობისა და წესიერების დასამყარებლად იწოდებენ მაღალ ჩინოსნებს და მათს ადმინისტრატიულ ნიჭსა და სინიდისზე აგდებენ საქვეყნო საქმეთა მოწყობას. გრაფ ვიტტეს მმართველობას ისე ღრმად სწამს ეს ადმინისტრატიული მძლეთა მძლეოპა ბიუროკრატიის ბურჯებისა, რომ საზოგადოებრივ ძალთა მოქმედესას, ხალხის თავისუფალ სიტყვას და საქმეს იმაზე გაცილებით ნაკლებ მნიშვნელობას აძლევს... მაგრამ ესეც არ არის სრული სიმართლე, ესეც არა ჰხატავს გრაფ ვიტტეს მმართველობის ნამდვილ აზრს. გენერალ-ადიუტანტთათვის ხემოდ ჩამოთვლილ უფლებათა მინიჭება მოასწავებს იმას, რომ ამ გენერალ-ადიუტანტებს არა თუ უკეთ შეუძლიანთ ქვეყნის საქმეები დაატრიალონ, ვიდრე საზოგადოებრივ ძალებს, არამედ იმათ კეთილ განზრახვებს საზოგადოებამ, ხალხმა, პრესსამ შესაძლოა ხელი შეუშალონ, და ამიტომ საზოგადოებრივ ძალთა მოქმედებისთვის საჭიროა განსაკუთრებითი მზრუნველობა, განსაკუთრებითი ოპეკა.

დიახ, ოპეკა, გენერალ-ადიუტანტების ოპეკა—აი რა დასკვნამდე მივიდა ჯერჯერობით გრაფ ვიტტეს მმართველობა! წინად გენერალ-გუბერნატორები და გუბერნატორები იყვნენ საზოგადოების ოპეკუნები, წინად ისინი ამყარებდნენ „მშვიდობიანობას". ეხლა გენერალ-ადიუტანტები აასრულებენ ამ მოვალეობას. შეიცვალა სახელი, ქერქი, ხოლო ბუნება-კი წინანდელი დარჩა.

თავისუფლების მანიფესტი? იგი აღარ არსებობს სარატოვის, ჩერნიგოვის და ტამბოვის გუბერნიებისთვის, იგი მხოლოდ მირაჟი იყო ამ სამ გუბერნიის მცხოვრებთათვის, უეცრად გამოსჩნდა გრაფ ვიტტეს კაბინეთის ფანჯარიდან და საჩქაროთვე გაჰქრა!

პოლონეთს სეპარატისტობა დასწამეს და ამიტომ წაართვეს სამოქალაქო საკონსტიტუციო უფლებანი. სარატოვის, ტამბოვის და ჩერნიგოვის გუბერნიის მცხოვრებთ სეპარატისტობას ვერა სწამებენ, მაგრამ უფლებები მაინც წაართვეს და მასთან მთავრობას ჯერ გაკვრითაც არ უთქვამს, რა მიზეზით. უმიზეზოდ ხომ მთელს რუსეთს შეიძლება წაერთოს საკონსტიტუციო უფლებანი?

ცხადია, გრაფ ვიტტეს მმართველობამ თავისუფლება რუსეთის ხალხს იმ იმედით დართმო, რომ ხალხი ამ თავისუფლებას უშინაარსოდ დასტოვებდა და არ გამოიყენებდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა, მონობას ჩვეულმა რუსის ქვეშევრდომმა თავისუფალი მოქმედება დაიწყო და ამ მოქმედებას-კი მოჰყვა ნაწილ-ნაწილ მანიფესტის ძალის გაუქმება.

გრაფი ვიტტე გულწრფელობას ჩემულობს და საზოგადოების დახმარებას ითხოვს. ჩვენ გვგონია, გულწრფელი განზრახვა რუსეთის სახელმწიფო წყობილების გადაშენებისა ახალ პრინციპებზე ხალხის საკონსტიტუციო უფლებების გაუქმებას ვერასოდეს ვერ შეურიგდება, და ამიტომ სამართლიანი ეჭვი იბადება გრ. ვიტტეს მმართველობისადმი.

რა საჭიროა ეს წინააღმდეგობა ეხლანდელ მმართველობის სიტყვისა და საქმის შორის? რუსეთის ხალხმა უკვე დაამტკიცა, რომ იგი გონებრივად სრულ-წლოვანია, იმას არც არაფრისა ეშინიან და არც გულის მოსაფხანი სიტყვები სწყურიან. იგი მმთავრობისაგან სიტყვას-კი არა, საქმეს ითხოვს. სიტყვის დრომ უკვე გაიარა.

* * *

დაჩაგრულ მუშათა ახალი კავშირი

ერთი მეომარიც მოემატა რუსეთის განმათავისუფლებელ რაზმებს. ერთი ძლიერი რაზმი კიდევ ჩადგა სხვა რაზმთა წრეში რუსეთის ბიუროკრატიის გასასრესად. ბიუროკრატია იმავ თავიდან ცინიკურ, დაურიდებელ პოლიტიკას მისდევდა. ეს პოლიტიკა იმას მისდევდა, რომ რუსეთის ხალხისაგან რაც შეიძლება მეტი აეკრიფა, ხაზინა გაემდიდრებინა და იქიდან მსხვილ-მსხვილი თანხები თავის სასარგებლოდ გადაედო. ამგვარ პოლიტიკით ბიუროკრატიამ დროებით იპარპაშა, მაგრამ ბოლოს თვითონვე თავისთვის სამარე გაითხარა. იმან ხალხი გაღატაკებამდის მიიყვანა, შექმნა პროლეტარიატი და მშრომელ ხალხს შეაგნებინა, სად არის იმის უმთავრესი მტერი.

დღეს ამ პროლეტარებს და გაღატაკებულ მშრომელ ხალხის დასს ფოსტის მოხელენიც უერთდებიან. ბიუროკრატია ხაზინის გასამდიდრებლად საჭირო საქმეზე ფულის ხარჯვას ერიდებოდა და აი ეხლა იმკის თავის დათესილ ჭირნახულს. ფოსტის მოხელენი რომელთა კავშირიც ამას წინად მოსკოვში შემდგარა, ამბობენ, რომ ფოსტა, პროგრესის ეს ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორი, ვერ ასრულებს თავის მოვალეობასაო. მიზეზი ამისი ის არის, რომ მოხელენი მეტად ცუდ მდგომარეობაში არიან: ისინი მუშაობენ დღე-ღამეში 16 საათს და ამ მუშაობისთვის ისე ცოტა სასყიდელს იღებენ, რომ უპირველეს საჭიროებებსაც-კი ვერ იკმაყოფილებენ, მუშაობა სწარმოებს მეტად არა ჰიგიენურ პირობებში.

ამის მიხედვით ფოსტის მოხელეთა კავშირს შეუმუშავებია სხვა და სხვა მოთხოვნა. ამ მოთხოვნათა შესრულებას კავშირი არ მოელის ეხლანდელ მთავრობისაგან, ამიტომ მთავარ მოთხოვნილებად აყენებს დამფუძნებელ კრების მოწვევას საყოველთაო, პირდაპირ, ფარულ და თანასწორ კენჭის ყრით. კავშირი ამბობს, რომ მხოლოდ ამ დამფუძნებელ კრებას შეუძლიან განახორციელოს ჩვენი მოთხოვნილებანიო. დამფუძნებელ კრების მოწვევა ამ ბოლო დროს მთელ განმათავისუფლებელ მოძრაობის ლოზუნგია, ასე რომ ამ ლოზუნგის მიღებით ფოსტის მოხელეთა კავშირი საზოგადო მოძრაობას უერთდება. აი ამიტომ ვამბობთ, რომ განმათავისუფლებელ მოძრაობას ერთი ძლიერი რაზმიც მიემატაო.

მაგრამ რამდენად ძლიერია ეს რაზმი? რა ნაირის იარაღით არის იგი შეჭურვილი? ახალი რაზმი ძლიერია; მას შეუძლიან სხვა რაზმებთან ერთად სრულიად შეაჩეროს ცხოვრების მაჯის ცემა და აჩვენოს ბიუროკრატიას, რომ „ზომიერი" პროგრესი, რომელსაც ბიუროკრატია როგორც იყო ითმენდა, შეუძლებელია. პროგრესი თვითონ მიდის თავის გზით და არა წვრილ და მსხვილ დიქტატორთა ბრძანებით; და, თუ ბიუროკრატია არ გაანთავისუფლებს პროგრესს თავის ოპეკისაგან, მაშინ პროგრესსის ნახევრად აშენებული კედლები დაინგრევა და დაიტანს მთელ მხარეს მასთანერთად. უმთავრესი იარაღი ამ კავშირისა, მაშასადამე, არის გაფიცვა, რომელიც ადგილობრივმა კომიტეტებმა უნდა გამოაცხადონ ხოლმე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კავშირი თხოულობს გაფიცვის თავისუფლებას. საგუბერნიო ბიურო აერთებს კომიტეტების მოქმედებას, ხოლო ცენტრალური ბიურო—საგუბერნიო ბიუროებისას. გარდა ამისა დრო-გამოშვებით გაიმართება კავშირის კრებები, რომლის დადგენილებაც ცენტრალურმა ბიურომ აღსრულებაში უნდა მოიყვანოს. თუ კავშირი რამე მიზეზით ვერ შეიკრიბა, მაშინ ცენტრალური ბიურო თვითონ მოქმედებს კავშირის მაგივრად და დადგენილებას იღებს მხოლოდ მაშინ, თუ მას ბიუროს წევრთა 3/4 მიემხრო.

გარდა ყველა ამისა საყურადღებოა ის, რომ კავშირი არ ემხრობა არც ერთ პარტიას და აერთებს ყველა მიმართულების მოხელეს და თვითეული ჯგუფი ამ კავშირისა ავტონომიურ უფლებებით სარგებლობს ადგილობრივ საკითხების გადაწყვეტაში. დღემდის ამგვარ, ფართო კავშირების შედგენა თითქმის შეუძლებლად მიაჩნდათ ევროპის სახელმწიფოებშიაც-კი. რუსეთმა ეხლა აჩვენა ქვეყანას, რომ ეს შესაძლებელია. ამგვარი საბრძოლველი იარაღი დიდ

სამსახურს გაუწევს მომავალ მშრომელ ხალხის ბრძოლას თავის იდეალისათვის და არა თუ რუსეთში, ევროპაშიაც მეტის ნდობით და მეტის იმედით მოეპყრობიან ამ ახალ კულტურულ საბრძოლველ იარაღს. რუსეთში, თვალ-გადაუწვდენელ რუსეთში, რომელიც სხვა და სხვა ელემენტებისაგან შესდგება, მოხერხდა ამგვარი კავშირები, რომელთაც უნდა გადასწყვიტონ და სწყვეტენ კიდეც ბრძოლას თვითმპყრობელობისა და ხალხის შორის. რა თქმა უნდა, ამ იარაღს უფრო დიდი ძალა ექნება ევროპის ქვეყნებში, სადაც ხალხი უფრო დაახლოვებულია ერთმანეთთან. თუ რუსეთში ეხლა ამგვარი კავშირები მოხერხდა, ეს მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ მეტად ინტენსიურია რუსეთის ცხოვრების მაჯის-ცემა.

ჩვენ გვჯერა, რომ ვერავითარი ბნელი ძალები, ვერავითარი ტრეპოვების და შავრაზმელების რეაქცია ვერ შეაყენებს ამ მაჯის ცემას, ვერ დასძლევს ხალხს, აღჭურვილს ამგვარ იარაღით, რადგან ტყვიას და ხიშტს ძალა ეკარგება იმის წინააღმდეგ.

ჩამოდექით, ბნელო ძალებო, მოდის ხალხი, ბრწყინვალე იდეალით გამსჭვალული, უძლეველ იარაღით შეჭურვილი, ჩამოდექით!.. **ვ. ნ.**

* * *

გურიაში

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ამ წერილის პირველ ნახევარს გურიის სოფელ ხიდისთავიდან გწერთ, მეორეს — ოზურგეთიდან. ვიჩქარი შეგატყობინოთ გურიის დღევანდელი ვითარება, რომელიც ყველას ერთნაირად აინტერესებს.

გურიაში მოგზაურობა ეხლა უცხო კაცს შორიდან ადვილ საქმედ არ მოეჩვენება. გურიიდან მოსული ხმები იმდენად გაზვიადებულია, რომ შორიდან გეგონება დიდ ხიფათს გადაეკიდები, თუ გურიაში თავი შეჰყავი. ასეთი აზრი, შორიდან შემდგარი, უფრო სამართლიანად ეჩვენება კაცს, თუ ჩოხატაურის ამბავს მიიღებს მხედველობაში.

მიუხედავად ამისა ბედმა მარგუნა გურიაში ყოფნა და ეხლა შეძლება მეძლევა უფრო ნამდვილი ამბავი მოგაწოდოთ, ვიდრე ქუთაისიდან შეგატყობინეთ ორის დეპეშით. ვიდრე დეპეშას მოგწერდით ჩოხატაურის შეტაკების შესახებ, მრავალი ცნობა მოდიოდა ქუთაისში ერთი მეორეზე უცნაური და საშინელი. ფანტასტიურ ხმების მოწოდება არ მინდოდა და ვუცდიდი იმ დროს, როცა საქმე ცოტად თუ ბევრად გამოირკვეოდა. ბოლოს სამტრედიიდან მოსულმა სარწმუნო კაცმა იმ სახით გადმომცა ჩოხატაურის ამბავი, როგორც დეპეშით შეგატყობინეთ.

დეპეშის გამოგზავნის მეორე დღეს მე თვითონ მიმიხდა წასვლა გურიაში და ამიტომ ვიჩქარი შეგატყობინოთ აქაური ამბები.

ქუთაისიდან სამტრედიამდე საგანგებო მატარებლით მომიხდა სიარული. რკინის გზის ლიანდაკი შეკეთებულია ამ სადგურამდე და აქედან ბათუმამდე. როგორც რკინის გზის მოხელეები ამბობენ, იმდენად კაფუჭებულია ლიანდაგი, რომ მის არსებაში მოყვანას თუ მეტი არა, ერთი თვე მაინც მოუნდებაო. ამ ნაირსავე მდგომარეობაშია, მათისავე სიტყვით, ტელეგრაფი. გადამეტებულმა გაზვიადებამ გურიის ამბებისამ, მართალი გითხრათ, გული წამიხდინა და მგონია, რომ აქაც გადაჭარბებულად აქვთ წარმოდგენილი რკინის გზის მოხელეებს რკინის გზის ლიანდაგი. *)

თუმცა რიონიდან სამტრედიამდე, ესე იგი 30 ვერსის მანძილზე, ორი როტა ჯარი დგას ლიანდაგის დასაცველად, მაგრამ ისე უთავბოლოდ არის განაწილებული ჯარი, რომ წინა დღეს მუხიანში ავაზაკებს თითქმის ოცდა ათის ვაგონისთვის პლომბები მოეხსნათ, აერჩიათ ძვირფასი და ადვილ გადასატან ნივთებით დატვირთული ვაგონი და მთლად წაეღოთ. ვაგონის დაცლას რამდენსამე საათს მოუნდომოდნენ და, მიუხედავად ამისა, მშველელი და პატრონი არსად გამოჩენილიყო.

სამტრედია საომრად გამზადებულ ბანაკს მოგაგონებთ. საცა მიიხედავ, ყველგან ჯარია, რომელიც სდარაჯობს ლიანდაგს. ჯარს კიდევ მოელიან. სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვე, რომ გრენადერის დივიზია ცოტა ხანში მოვა. რას უპირობენ ამოდენა ჯარს ან რისთვის იგზავნება იგი, ჯერ-ჯერობით კაცმა არ იცის. ხალხში-კი ხმა დადის, რომ საომარ დროის წესების შემოღებას ნიადაგს უმზადებენ და შეიკრიბება თუ არა საკმაო ჯარი, მთელს გურიას და მის ახლო-მახლო ადგილებს ცეცხლითა და მახვილით გაივლიანო.

გაამართლებს თუ არა საომარ წესების მომხრეების იმედებს ჯარის გამრავლება გურიაში, ეს მკითხველისთვის მიმინდვია, მე-კი ვიტყვი, რომ გამწვავებისა, არეულობისა და უაზრო სისხლის ღვრის მეტი არა იქნება რა.

სამტრედიიდან საჯავახოში ეტლით მოგვიხდა წასვლა. ორპირში ბორანი არ მუშაობდა და ამიტომ აქედან საჯავახომდე ვიმოგზაურე ნავით, რომელიც ყოველ წუთს მზად იყო გადმობრუნებულიყო და ჩემი ცოდვილი სული ღვთისათვის ჩაებარებინა. გადავრჩი სიკვდილს და მივედი საჯავახოში. ვიდრე ეტლს შეგვიბამდნენ ჩოხატაურში წასასვლელად, ხალხი მოგროვდა ჩვენ გარეშემო. მომაგონდა, რომ თანა მქონდა მანიფესტი და ნამესტნიკის მოწოდება ქართულსა და რუსულ ენაზე დაბეჭდილი. ხალხს შევთავაზე.

არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი ხალხი გულ-დასმით კითხულობდა მანიფესტს და მოწოდებას.

საჯავახოშიაც აღმოჩნდა ერთი როტა ბესარაბიის პოლკისა. ჯარის კაცებმაც ითხოვეს მანიფესტი და მალე იმათაც დაიწყეს კითხვა.

რათა დგეხართ მეთქი, — ვკითხე ერთ ჯარის-კაცს საჯავახოში.

— ჩვენც არ ვიცით, — მიპასუხა მან, — ქუთაისიდან რომ წამოვედით, მაშინ აქა-იქ ამბობდნენ, რომ გურიაში უნდა წავსულიყავით აჯანყების ჩასაქრობად და ეხლა ვართ აქ უსაქმურად და, ვინ იცის, როდის მოვესწრებით სახლში წასვლას.

ოთხი ცხენით შებმული ეტლი მზად იყო წასასვლელად და ჩვენც შევუდექით ჩოხატაურის აღმართს.

ჯერ დაბინდებული არ იყო, რომ ჩოხატაურში მივედით. ღამე გავათიეთ ადგილობრივ ექიმ ჯაფარიძესთან. მაზრის უფროსისა, მომრიგებელ მოსამართლისა და ყაზახების წასვლის შემდეგ ჩოხატაურიდან ჩოხატაურში მოხელეთაგან მარტო ჯაფარიძე დარჩენილა მეუღლით. შიში ბევრი გამოუცდიათ, მაგრამ მოვალეობისთვის არ უღალატნიათ, ხალხი, როგორც შევატყე დიდის მიმპატიით ეკიდება ახალგაზდა ექიმს და ვისაც-კი კუდი მომწვარი ჰქონია, იმას თავისთვის უშველია.

ეხლა მოვითხრობთ ჩოხატაურის ამბავს იმ სახით, როგორც აქ გვიამბეს.

გაფიცვის მეორე დღეს, 16 ოქტომბერს, დილით ჩოხატაურში სროლა ატეხილა. ვილაცეები დასცემიან პოლიციის დარაჯების ბინას — მოუკლავთ ერთი დარაჯი, დაუჭრიათ ორი და სროლა იქამდის არ შეუწყვეტიათ, ვიდრე ადგილობრივ ბოქაულის განკარგულებით იარაღი არ მიუციათ. დაჭრილი დარაჯები საავადმყოფოში დაუბინავებიათ, ხოლო ბოქაული გაგუა დაუტყვევებიათ და სურებს გაუგზავნიათ.

დატყვევებამდის ბოქაულს შიკრიკი გაუგზავნია ოზურგეთში და მაზრის უფროსისათვის საქმის ვითარება უცნობებია.

მაზრის უფროსს, ლაზარენკოს, ოზურგეთიდან წამოუყვანია 120 პლასტუნის ყაზახი და 18 ოქტომბერს ჩოხატაურში მოსულა. ხალხს გაუგია თუ არა ყაზახების მოსვლა, იმავე წამს გახიზნულა და ჩოხატაურში ექიმისა და საავადმყოფოს მსახურთა გარდა აღარავინ დარჩენილა.

ლაზარენკოს ერთი დღე ჩოხატაურში გაუტარებია, ხოლო მეორე დღეს თან წაუყვანია მომრიგებელი მოსამართლე პეკარსკი ცოლითა და შვილით და ოზურგეთისაკენ გამგზავრებულა. პეკარსკისთვის ხალხს შეუთვლია ნუ წახვალ, არაფერს გავნებთო, მაგრამ მაინც თავისი არ დაუშლია და ლაზარენკოს წაჰყოლია.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლაზარენკომ წასვლისას თურმე რამდენჯერმე გაიმეორა რუსულად: „жарко будетъ на селенію“. „დასცხება“ თუ არა ხალხს, ამას მომავალი გვიჩვენებს და თითონ ლაზარენკოსა და მის თანამგზავრებს-კი რომ იმავე ღამეს დასცხათ ეს კაგად ვიცი.

რაღა ლაპარაკი უნდა იმას, რომ ჯარის მოსვლამ ჩოხატაურში, მეორე დღეს დაბრუნებამ და მაზრის უფროსის მუქარამ ხალხში მითქმა-მოთქმა და მღელვარება გამოიწვია. ერთი მეორეზე უცნაური და ფანტასტიური აზრი ვრცელდებოდა ხალხში რევოლიუციის შესახებ რუსეთში და კერძოდ საქართველოში. გურიაში ხმა დაეყარათ, რომ ქუთაისი ჯარმა გაანადგურა და იწვისო, ბათუმს ზარბაზანს ესვრიანო და სხვა მრავალი ამისთანა.

უტელეგრაფოდ და უფოსტოდ დარჩენილი გურულები საგონებელს მიეცნენ. ცნობა არსაიდან მოდიოდა და ხმები ერთი მეორეზე უარესი ვრცელდებოდა. იფიქრეს, არც ჩვენ უნდა ჩამოვრჩეთო, ნასაკირალზე ჩაუსაფრდნენ ყაზახებს და ესროლეს ყუმბარები.

რა დროს მოხდა შეტაკება. ვინ დაიწყო პირველად სროლა, რა გზით დააღწია თავი ლაზარენკომ და ჯარმა, ჯერ-ჯერობით არ ვიცი, ხოლო რაც შეეხება დაზარალებულთა რიცხვს, ეს კი ნამდვილად შემიძლია შეგატყობინოთ.

ზევით ვთქვი, რომ მომრიგებელმა მოსამართლემ თან ცოლ-შვილი წაიყვანა მეთქი. 23 ოქტომბერს პეკარსკის ცოლი და შვილი დაბრუნებულან ჩოხატაურში და, იმათის სიტყვით, მოკლულია ორი ყაზახი და დაჭრილია შვიდი. დანარჩენები გადარჩენილან და საღ-სალამათად ოზურგეთს მისულან. ხალხში ხმა დადის, რომ გზა-გზა ჯარმა ასზე მეტი მოსახლე გადასწვაო და ჩვენ-კი ნამდვილ წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ გადამწვართა რიცხვი 25 არ აღემატება.

საზოგადო მდგომარეობა გურიაში გამოურკვეველია. ხალხმა თითონ არ იცის, რა გზას დაადგება. ადგილობრივი ორგანიზაციები, რამდენადაც ჩვენ ვიცით, ხშირად იკრიბებიან, ბჭობენ აწინდელ მდგომარეობაზე, ირკვევენ დროს შესაფერ ტაქტიკას და მოსალოდნელია, რომ მცირე ხანში ამა თუ იმ გზას დაადგებიან. ამავე დროს გუბერნატორიც მოგზაურობდა გურიაში, ხალხთან ლაპარაკობდა, რომ გამოერკვია ხალხის სურვილი, გინდა მოთხოვნილება და ამის დაგვარად თითონაც შესაფერი პოზიცია დაეჭირა, როგორც ხალხის, ისე უმაღლეს მთავრობის მიმართ.

ხიდისთავიდან ოზურგეთს წავედით. გავიარეთ დღეიდან შესანიშნავ ნასაკირალზე. რათა ნამდვილი აზრი შემედგინა შეტაკების შესახებ, ავედი იმ მთაზე, სადაც გურულები ჩასაფრებულიყვნენ. მთა ტყით არის მოცული და ამიტომ ჩასასაფრავად კარგად მოწყობილია. მთის წვეროზე ოთხსა თუ ხუთ ადგილას თხრილებია მსროლელთათვის. აი, მთელი მზადება გურულებისა. მთის ძირში მიდის გზა და გზის მეორე მხარეზე მდინარე. გზის მეორე ნაპირზე მაღალი მთაა. გადაუგდიათ თუ არა ყუმბარები და დაუწყიათ სროლა ყაზახებისთვის, ამ უკანასკნელებს უსარგებლნიათ ბნელის ღამით, დაუხევიათ, გადასულან ხიდით მდინარის მეორე ნაპირზე და მთის ძირს მოჰფარებიან. მცირე ნაწილი-კი თხრილში ჩაცვივნულა და ღამე იქ გაუთევია.

როცა გათენებულა, ყაზახები გამაგრებულან მთაზე და ატეხილა სროლა. ამ დღეს სროლაში არავინ დაზარალებულა. საღამოზე-კი ყაზახებს ხუთი კაცი გაუგზავნიათ ოზურგეთში მაშველ ჯარის გამოსახმობათ, თითონ-კი კარგა ღამე რომ გასულა, დიდის სიფრთხილით წასულან ოზურგეთს და მეორე დღეს ბინდისას კიდევ მიუხწევიათ ს. დუაბზუმდე, რომელიც ოზურგეთიდან შვიდის ვერსის მანძილზეა.

აქ შეერთებულან ჩოხატაურიდან მოსული და მაშველად წამოსული ყაზახები და ორ ნაწილად გაყოფილან მისთვის, რომ ერთი შოსით პირდაპირ ოზურგეთს მისულიყო, ხოლო მეორეს ს მელექედურზე გაევლო.

ნასაკირალიდან წამოსულ ხუთ ყაზახში სამი გზაში მოუკლავთ, ერთი დაუჭრიათ და ერთს მიუღწევია ოზურგეთამდე.

ორად გაყოფილი ყაზახების რაზმები შესდგომიან თავის უგვანს და ყოვლად შეუწყნარებელ საქმეს — ახლო-მახლო მოსახლეების გადაწვას და „სვინდისიერადაც“ შეუსრულებიათ თავიანთი ბარბაროსული აქტი. დაწყებული დუაბზუდან ოზურგეთამდე ერთი-ორი სახლი თუ კინკილობს, თორემ სხვა მთლად გადამწვარია. ხუთი ვერსის მანძილზე გადაუბუგავთ ყაზახებს ათისა და ოცის წლობით შეძენილი ქონება უდანაშაულო მოსახლეებისა. გზად რომ მივდიოდი, დავთვალე ის, რაც თვალით ჩანდა და აღმოჩნდა 54 შენობა გადამწვარი. ისე გამხეცებულან შურის-ძიებით გატაცებული ყაზახები, რომ სოფლის კანცელარიაც-კი დაუწვავთ, დამწვარია ეგრეთვე „შუამავლის“ შენობები მაშინებით, მრავალი საქონლით და ხელსაწყოთი.

მელექედურის გზაზე უარესი საქმე ჩაუდენიათ ყაზახებს — დამწვარ სახლების რიცხვი აქ უფრო მრავალია და მთლად-კი 120 მოსახლე დაზარალებული, ხოლო დამწვარ შენობათა რიცხვი სამოცს აღემატება თურმე.

ასეთმა საქციელმა თავზარი დასცა თურმე ოზურგეთსა და მახლობელ სოფლებს. დიდი უმრავლესობა გახიზნულა და ვიდრე არ დარწმუნებულან, რომ ბარბაროსობამ გული იჯერა, აღარ დაბრუნებულან.

ზარალი აღემატება 100,000 მანეთს. ვინ უზღავს ხალხს ამ ზარალს? ვინ მისცემს თავ-შესაფარს? ვინ დასჯის დამნაშავეთ? აი კითხვები, რომლებიც პასუხს ითხოვენ.

ოზურგეთს კვირა დღეს მომიხდა ყოფნა. ხალხში ხმა გავრცელდა, რომ ამ დღეს მანიფესტს გამოაცხადებენო. მართლა დილის თერთმეტ საათზე ეკლესიის მახლობლად შეიკრიბა ადგილობრივი საზოგადოება, ჯარი და მოხელენი, რომელთა შორის გუბერნატორიც იყო. პატარა ხანს უკან სამღვდელოება გამოვიდა ეკლესიიდან და ქართულსა და რუსულ ენაზე წაკითხულ იქნა უმაღლესი მანიფესტი. შემდეგ ამისა გადაიხადეს პარაკლისი, და ვიდრე ჯარს ალყუმს გაუკეთებდნენ, გუბერნატორმა მიმართა ჯერ ჯარს და მერე მრავლად შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით, აღნიშნა დიდი მნიშვნელობა მანიფესტისა და მიულოცა ხალხს, რომელიც „ვაშა“-ს ძახილით მიეგება ბ-ნ სტაროსელსკის სიტყვას.

კლდე

* * *

ქუთაისის გუბერნატორთან

შევიტყვეთ თუ არა, რომ ქუთაისის გუბერნატორი ბ-ნი ვ. ა. სტაროსელსკი ჩამოვიდა ტფილისში სამსახურის საქმეების გამო, გავეშურეთ მის სანახავად, რომ პირველ წყაროდან შეგვეტყო გურიის ნამდვილი მდგომარეობა. სამწუხაროდ, სამშაბათ საღამოს ბინაზე ვერ მივუსწარით და მხოლოდ გუშინ დილით $8^{1}/_{2}$ საათზე მიგვიღო ქუთაისის გუბერნიის მმართველმა.

ვ. ა. სტაროსელსკი „გუბერნატორი“ არ არის: თავი ისე უკავია, როგორც უბრალო სიკვდილის შვილს; მიხვრა-მოხვრა და საუბარიც შესაფერი აქვს; გამხდარ სახეზე და გონიერ თვალებში ზრუნვისა და სევდის გამომეტყველება აქვს აღბეჭდილი და არც საკვირველია: როგორცა სჩანს, სტაროსელსკი ის იშვიათი ადმინისტრატორია, რომელსაც ახალი, თავისუფალი წესი არ ეუცხოვება, არ უკვირს, რომ ხალხს მოუსურვებია ნამდვილად მოიხმაროს და გამოიყენოს ამდენის ბრძოლითა და ტანჯვით შეძენილი უფლება ადამიანისა; მაშინ როდესაც ირგვლივ სხვა ძლიერნი ამა ქვეყნისანი, ახლო თუ შორს, შეურიგებელ წინააღმდეგობას უწევენ ახალ წესის დამყარებას, ვ. ა. სტაროსელსკი მარტოა, თანამგრძნობი არა სჩანს.

ერთი თვისება ჰქონები კიდევ ქუთაისის გუბერნიის მმართველს: პრესის დიადი მნიშვნელობა ესმის და, როგორც თვითონა სთქვა, ყოველთვის მზად არის უტყუარი ცნობები მიაწოდოს მას. რამდენადაც ვიცით, არც ეს თვისებაა თვისება „გუბერნატორისა“: სად „გუბერნატორი“ და სად პრესის პატივისცემა.

ყაზახების ვითომდა გაჟლეტისა და გურულების „აჯანყების“ ამბავი ჩვენის კორესპონდენტის წერილშია მოთავსებული და ამიტომ აქ აღარ გავიმეორებთ, გარდა ზოგ დამახასიათებელ წვრილმანისა, რომელიც გუბერნატორმა გადმოგვცა.

დატყვევებულებსა თუ დაჭრილებს დიდის ზრდილობითა და გულკეთილობით ეპყრობოდნენ გურულები, კარგ სასმელ-საჭმელს აძლევდნენ, უვლიდნენ; მიცვალებულებს შესაფერის პატივისცემით ეპყრობოდნენ, ჰბანდნენ, კუბოში ასვენებდნენ და ეკლესიაში სდგამდნენ. მხოლოდ ერთ გურულს მოუნდომებია ცუდის საქმის ჩადენა (წაღების გახდა მოუნდომა მოკლულ ყაზახს), მაგრამ იქვე მოუკლავს მისავე ამხანაგს. არსად სისხლი არ დაუღვრიათ თურმე, თუ კი იარაღს ნებით აძლევდნენ. მთავარი საგანი გურულების უკანასკნელ თავდასხმისა მხოლოდ იარაღის შოვნა ყოფილა. როგორც ვიცით, იარაღის შოვნას ამ უკანასკნელ დროს ყოველ კუთხეში სცდილობენ, რადგან ძლიერი კონტრ-რევოლიუციაა მოსალოდნელი. მაგრამ გურულებს საგანგებო საბუთიც ჰქონდათ შეიარაღებაზე ეზრუნათ: ქვეყანას სრულიად მოწყვეტილ მხარეში გაუვრცელებიათ ხმები, რომ ჯარებმა ქუთაისი გაანადგურეს, ბათუმს ზარბაზნებს უშენენო და სხვა. რა უნდა ეფიქრათ გურულებს თუ არ ის, რომ მათაც საშინელი ბედი მოელოდათ, ამ საშინელ ბედის მოლოდინში რომელი ცოცხალი ადამიანი არ ეცდებოდა უკეთ შეიარაღებას ულმობელ და გამხეცებულ მტრის დასახვედრად. გურულებს ოფიციალური დოკუმენტებიც ჰქონდათ ხელში, რომ თავდასხმას უპირებდნენ გურიას: ოზურგეთის მაზრის უფროსს ლაზარენკოს მოხსენება მოხსენებაზე გაუგზავნია ბათუმის გენერალ-გუბერნატორისათვის, რასაკვირველია, ყოვლად უმიზეზოდ: ჯარები და ტყვიის მტყორცნელები გამოგზავნეთ, გურია აჯანყებული არისო. გარდა ერთისა, ყველა ეს მოხსენება გურულებს ჩავარდნია ხელში და ადვილად წარმოსადგენია, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ასეთ შინაარსის ქაღალდები: ესენი სრულიად ამოწმებდნენ გავრცელებულ ხმებს. სწორედ ამან გამოიწვია გურულების მხრივ თავდასხმა ყაზახებსა და სტრაჟნიკებზე იარაღის წასართმევად და, ვიმეორებთ, ყველგან სისხლის ღვრას ერიდებოდნენ, და როცა მანიფესტის შინაარსი შეუტყვიათ, მაშინვე შეუწყვეტიათ მოქმედება.

ვ. ა. სტაროსელსკის მარტო მოუვლია მთელი ვითომდა აჯანყებული გურია და ყველგან მშვენივრად მიუღიათ. თვითონ გურულებს შეუდგენიათ სადარაჯო პატარა რაზმი გუბერნატორისათვის, და როცა გუბერნატორს უთქვამს მათთვის — არ მეშინია, საჭირო არ არის მცველებიო, გურულებს უპასუხნიათ — ჩვენ გვეშინია: ვინმე ჩვენი მტერთაგანი სიამოვნებით ისარგებლებს შემთხვევით, ცუდს რასმე დაგმართებთ, რომ პასუხისგება ჩვენ გვაკისრებინონო.

სადაც არ ყოფილა გუბერნატორი, ხალხს ყველგან ერთი და იგივე უთქვამს:

— ბოიკოტი ჩვენ თვითმპყრობელობას, მის დაწესებულებებსა და აგენტებს გამოვუცხადეთ; ეხლა, რაკი თავისუფლებაა გამოცხადებული, რაკი რუსეთის სახელმწიფო უფლებრივი სახელმწიფო ხდება, ეხლავე დავუბრუნდებით ნორმალურ ცხოვრებას, ვიკისრებთ სამოქალაქო მოვალეობათა ასრულებას, სანამ ხალხის არჩეული წარმომადგენლები ახალს რასმე დააწესებდნენ, მაგრამ ამისათვის აუცილებელია სამხედრო წესის გაუქმება, ყაზახების გაყვანა და არსებულ ახალ სასოფლო ორგანიზაციის დაკანონებაო.

სამტრედიაში რომ დაბრუნებულა გუბერნატორი, აქ შეუტყვია კავკასიის უმაღლეს მთავრობის განკარგულება ქუთაისის გუბერნიაში სამხედრო წესის შემოღებასა და გურიაში ჯარების გაგზავნაზე და მეტადაც შეწუხებულა, რადგან საკუთარის თვალით დარწმუნდა, შედარებით რა წესიერი და მშვიდობიანი ცხოვრება იყო მთელ ქუთაისის გუბერნიაში და თვითონ გურიაშიაც. როგორც ვიცით, სამხედრო წესის გამოცხადებისთანავე რკინის გზა გაიფიცა ტფილისამდე (გუშინ ბაქომდე გავრცელდა ეს გაფიცვა), ასე რომ გუბერნატორი სამტრედიაში მოემწყვდა და ეტლით აპირებდა ქუთაისში დაბრუნებას. მაგრამ ამ დროს მასთან მისულან სამტრედიისა და მახლობელ სოფლების წარმომადგენელნი და მიტინგის გამართვის ნება უთხოვნიათ (სამტრედიაში კარგა დიდი ჯარი დგას). ვ. სტაროსელსკის მაშინვე ნება დაურთავს. გამართულა დიდი სახალხო მიტინგი, მიუწვევიათ გუბერნატორი, რომელსაც წაუკითხავს და აუხსნია 17 ოქტომბრის მანიფესტი. ამ სახალხო მიტინგსაც იგივე დაუდგენია, რაც გურულებს: აიხსნას სამხედრო წესი, გაყვანილ იქმნას ჯარები, სოფლის ახალ ორგანიზაციას ხელს ნუ ახლებენ და მოვუცადით ხალხის არჩეულ წარმომადგენლების გადაწყვეტილებასო, და მიანდვეს გუბერნატორს გადაეცა ეს დადგენილება კავკასიის უმაღლესს მთავრობისათვის. გუბერნატორს თვითონაც სურდა წამოსულიყო ტფილისში; გაფიცულებმა მატარებელი დაამზადეს, საჭირო კაცები გამოიწვიეს და ქუთაისის გუბერნიის მმართველი გაფიცულთა დელეგატების მატარებლით ჩამოვიდა ტფილისში. ეს ფაქტი მეტად დამახასიათებელია როგორც ეხლანდელ მდგომარეობის, ისე თვით ვ. ა. სტაროსელსკისაც.

ვ. ა. სტაროსელსკი პირდაპირ ამბობს: — სამხედრო წესების შემოღებასა და ჯარების გაგზავნას გურიაში ის მნიშვნელობა ექმნება, რომ მთელი მხარე სისხლით შეიღებოს. ამ საქმეში არც კომისიაა საჭირო და არც სხვა რამე. არსებულ მდგომარეობას მხოლოდ ერთი შეეფერება: სამხედრო წესის გაუქმება და ჯარების გამოყვანა. ერთად-ერთი გზა საშინელ უბედურების თავიდან ასაცდენად ეს არის, მით უფრო, რომ გურიასა და იმერეთს არაფრით არ გამოუწვევია ასეთ საშინელ ღონისძიების მოხმარება. იმედი მაქვს, გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი დარწმუნდება ამაში და სამხედრო წესიც მოისპობა და ჯარებსაც გამოიყვანთ გურიიდანაო.

დილის ათი საათიდან თორმეტამდე ქუთაისის გუბერნატორს საუბარი ჰქონდა კავკასიის ნამესტნიკთან. საგნის საბოლოო გადაწყვეტა გადაიდო საღამოსათვის.

* * *

გარე-კახელთა თანაგრძნობა გურულებისადმი

2 ნოემბერს, დილის 12 საათზე, ვინც გოლოვინის პროსპექტზე შეესწრო, მშვენიერი და საგულისხმიერო სურათი ნახა. მოდიოდნენ ცხენოსანი სოფლელები უბრალოდ, გლეხურად გამოწყობილნი, რიგში ორ-ორი კაცი და მწკრივად. მოდიოდნენ მშვიდად დალონებულნი, წყნარად, თითქოს უეფექტოდ, მაგრამ უფრო ძლიერს შთაბეჭდილებას ახდენდა მათი სისადავე. მათ მოსდევდა რამდენიმე გლეხკაცი ფეხითაც. მოვიდნენ მწყობრად, დადგნენ კომენდანტის სამართველოს გვერდით და ჩამოხტნენ ცხენებიდან.

ამ სანახაობამ ხალხი მიიზიდა. კითხულობდნენ: ვინ არიან, სადაურები? რისთვის მოსულან? ვისთან? რაა საგანი მათის ამხედრებისა? მართლაც, საინტერესოა, ვინ იყვნენ და რა აზრით მოვიდნენ ეს სადა სოფლელები ამ დიდებულს გოლოვინის პროსპექტზედ ეგრე დემონსტრატიულად?

მოგახსენებთ.

ამ ბოლო დროს ივრის ხეობაზედ (ტფილისის მაზრა კახეთისკენ) მივიდა შემაძრწუნებელი ამბავი, ზოგი გაზეთებით, ზოგი კერძო გადმოცემით, რომ გურიას ჯარი მიესია, გურიას აკლებას და განადგურებას უქადიან, გურია ყაზახების მსხვერპლი უნდა გახდესო. ჩვენი მხარე გურიას დიდ პატივს სცემს, მათი ჭირი და ლხინი ისე ეინტერესებათ, როგორც საკუთარ კუთხის ჭირი და ლხინი. ამიტომაც გურიის ამ გვარმა გაჭირვებულმა მდგომარეობამ ხალხი აალელვა, აღაშფოთა. შეიქნა ჩოჩქოლი, ყაყანი. საითაც გაიხედავდით სოფელში, დუქნის კარზედ თუ ქუჩაზედ, სახლსა თუ კარზე, ყველგან ამ სამწუხარო ამბავზედ მსჯელობდნენ, ბაასობდნენ; ცხარობდნენ მთავრობის ასეთ სისასტიკეზედ. ბოლოს ამ მღელვარებას გზა მიეცა.

31 ოქტომბერს ივრის ხეობის მამასახლისებმა დანიშნეს სოფლების შეერთებული კრება სოფ. ხაშმში. შეიკრიბა ბლომად

---

*) როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, ლიანდაგის წახდენის ამბავი მართლაც გაზვიადებული გამოდგა: ამ სამი დღის წინად უკვე გაიარა პირველმა მატარებელმა ბათუმიდან სამტრედიამდე. რედ.

ხალხი. ჯერ კრება არ დაწყებულიყო, მოვიდა ხაშმში ტფ. მაზრის უფროსი სხვა და სხვა საქმეებისთვის. მაგრამ ის კერძოდ ოთახში მოათავსეს, თითონ კი კრებას შეუდგნენ. სოფ. ხაშმის მამასახლისმა ი. იმედაშვილმა მიჰმართა ხალხს სიტყვით და ნათლად გაარკვია გურიის მნიშვნელობა დღევანდელს განმათავისუფლებელს მოძრაობაში. მისცა წინადადება, რომ ივრის ხეობის წარმომადგენელნი წარსდგომოდნენ ნამესტნიკს და მოეთხოვათ, რომ მათ მოძმე გურულებისთვის აეცილებინათ განადგურება და სისხლის ღვრა, აეხსნათ საომარი წესები. კრებამ ილაპარაკა ცოტა ხანს იმის შესახებ, თუ როგორ განეხორციელებინა დეპუტაციის გაგზავნა. მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია:

„17 ოქტომბრის უმაღლესი მანიფესტის ძალით ყოველი პიროვნება თავისუფალია და მინიჭებული აქვს მოქალაქის უფლება, აგრეთვე გამოცხადებულია პატიება (ამნისტია) პოლიტიკურ დამნაშავეთა, ამიტომ ჩვენ გვაღელვებს და მეტად გვაწუხებს ჩვენის მოძმეების, თავისუფლებისთვის მოწინავე მებრძოლ გურულებას, გაჭირვებული მდგომარეობა, მეტადრე კი ის, რომ ამ ჟამად მთავრობამ ჯარით გაავსო გურია, რათა გაანადგუროს და მიწასთან გაასწოროს პატიოსანი და შეგნებული ჩვენი მოძმე გურულები. მიიღო რა ეს მხედველობაში დღევანდელმა კრებამ, დაადგინა: ივრის ხეობის მამასახლისები ხუთ-ხუთი წარმომადგენელით წარუდგნენ ნამესტნიკს ტფილისში და წარუდგინონ მოთხოვნილება, რომ გურია საჩქაროდ განთავისუფლდეს ჯარისაგან და ასცილდეს მას მოსალოდნელი უბედურება. წინაამდეგს შემთხვევაში, დარწმუნებულნი ვართ, მთლად ჩვენს ხალხში დაიბადება დიდი უკმაყოფილება მთავრობის წინააღმდეგ. ეს გადაწყვეტილება უნდა გაეგზავნოს სიღნაღისა და თელავის მაზრებსაც და გამოცხადდეს გაზეთებშიც სხვა სოფლების გამოსაწვევად“.

შემდეგ მიიღეს რამდენიმე სხვა გადაწყვეტილებაც, რომელთა შორის არის: „ადგილობრივი ბოქაული ობოლენსკი ადგილობრივ ენის უცოდინარობისა გამო გადაყვანილ იქმნას და დაინიშნოს ენების მცოდნე კაცი.“

იქვე გადასწყვიტეს, ტფილისს წასულიყვნენ მეორე დღესვე. ეს უკანასკნელი გადაწყვეტილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ზოგიერთნი წინააღმდეგნი იყვნენ, მარტო ივრის ხეობა წამოსულიყო, ჯერ სხვებსაც შევატყობინოთ, მოვილაპარაკოთ და მერე ერთად წავიდეთო. მაგრამ გურიის მდგომარეობა მაგნაირს დაყოვნება—დახანებას ვერ მოუცდიდა და კრებამ ამიტომ გადასწყვიტა, თავიანთი წარმომადგენელნი ეხლავე გაგზავნონ და დანარჩენებსაც ამგვარად შეატყობინონ თავიანთი აზრი.

მეორე დღეს მთელი ივრის ხეობის წარმომადგენელნი შეიკრიბნენ ვაზიანში. იქიდან ტფილისში შემოვიდნენ დილით 2 ნოემბერს (ივრის ხეობის შუა გულიდან ტფილისამდე 40—50 ვერსი იქნება) მაგრამ ოთხი კაცი დაწინაურდა, პირველს ნოემბერსვე. უკვე კარგა შეღამებული იყო, რომ მივიდნენ ნამესტნიკის თანაშემწესთან სულთან-კრიმ-გირეისთან. იქ თერთმეტ საათამდის მოუხდათ ცდა ამ ოთხს კაცს. მაშინ მოვიდა სულთან-კრიმ-გირეი და მას გადასცეს თავიანთი სურვილი. სულთან-კრიმ-გირეიმ ძალიან კარგად მიიღო, თავმდაბლად, და უთხრა, ხვალ თორმეტ საათზე მოდით ნამესტნიკთან, მე გამომიხ[illegible]ეთ და მაშინ შეგატყობინებთ პასუხს, მიგიღებთ ნამესტნიკი, თუ არაო. თან ისიც დაუმატა, რომ თვითონ ნამესტნიკს ვარანცოვსაც ჰსურს საქმის კეთილად დაბოლოვებაო.

გუშინ დილით მთელი ივრის ხეობის წარმომადგენელნი ცხენებით შემოვიდნენ ტფილისში. გავიდნენ ნაძალადევში, მუშათა ორგანიზაციის წარმომადგენელნი ინახულეს, იქიდან შეუარეს ქართულ-რუსულ რედაქციებს, სადაც თანამშრომლებმა თანაგრძნობით მიიღეს გლეხები.

მერე გაიარეს გოლოვინის პროსპექტზე. როგორც ზემოდაც მოვიხსენიეთ, იმათ შეხედულობამ, იმათმა წეს-რიგით სვლამ ყველანი გააცვიფრა.

ორიოდე კაცი მივიდა სასახლეში, მოიკითხეს სულთან-კრიმ-გირეი. ესენი შეიყვანეს სასახლეში, და უთხრეს, ეხლა ნამესტნიკი ცოტა უქეიფოდაა და ძალიან გართულიც არის საქმეში, ამიტომ ყველა თქვენის მიღება ეხლავე არ შეუძლიან; მაგრამ ამოირჩიეთ ხუთი კაცი, საღამოს ხუთ საათზე მოდით და მოვილაპარაკებთო. გურიის შესახებ-კი უთხრეს, რომ ვცდილობთ, იქ ერთი წვეთი სისხლიც არ დაიღვაროს გურულებისა და დამშვიდებულნი იყავითო.

გამობრუნდნენ იქიდან, შესხდნენ ცხენებზე, ჩადგნენ წყებაში სამ-სამი კაცი და გაუდგნენ გზას სასახლის ქუჩით. სასიამოვნო ამბის შეტყობის გამო დაჰკრეს ორპირი მაყრული და გუგუნით გაემართნენ ავლაბრისაკენ.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

თუმცა მე თვითონ ვარ მსხვერპლი ჯარის მიერ გაანადგურებისა და აკლებისა, რომელიც მოხდა 22 ოქტომბერს ტფილისში, მაგრამ ვფიქრობ, რომ გურულების განადგურება უფრო სასტიკი და შეუბრალებელი იყო და შეიძლება მომავალშიაც უფრო გაანადგურონ, ამისთვის მათ შესაწევრად გიგზავნით ერთ თუმანს.

გ. ჩა-ბაია.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

◆ როგორც იქმნა, გამოიცა ბრძანება ქართლში, რომელიც ამ ბოლო დროს ესოდენ დაიტანჯა, **ეგზეკუციის ახსნისა** და, გლეხთა მოძრაობის გამო, უსამართლოდ დასჯილ-გადასახლებულთა დაბრუნების შესახებ. ეს ბრძანება დაბეჭდილია ოფიციალურ გაზეთში. ამიერიდან ჯარს გამოიყვანენ ქართლიდან. ის ქართლელები, რომელნიც ტფილისში იყვნენ დაპატიმრებულნი, უკვე გაანთავისუფლეს. რუსეთში გაგზავნილთა დაბრუნების შესახებაც მოხდა განკარგულება.

◆ აზრადა აქვთ, როგორც გავიგეთ, **ნამესტნიკის საბჭოსთან დაარსდეს განსაკუთრებული სათათბირო**. სათათბიროში იქნებიან წარმომადგენელნი ადგილობრივ საზოგადოებრივ დაწესებულებათა და პრესისა. სათათბირომ უნდა შეიმუშაოს ზომები ხალხის დასამშვიდებლად.

◆ როგორც ხმა დადის, კავკასიის პოლიციის გამგის **გენ. შირინკინის კანცელარია უქმდება**.

◆ რადგან ქუთაისის გუბერნატორმა პირადად დაარწმუნა კავკასიის ნამესტნიკი, რომ გურიის მოძრაობა არაფრით არ განსხვავდება რუსეთის სხვა ადგილების მოძრაობისაგანაო, ამიტომ, როგორც დანამდვილებით გავიგეთ, **გურიაში გენერალ მალამას მეთაურობით** გამზადებული დამამშვიდებელი კომისია აღარ გაემგზავრება.

◆ ტფილისიდან **ბევრი გურული წავიდა სამშობლოში**. დანარჩენთ დაადგინეს თუ გურიის წინააღმდეგ რეპრესიული ზომები მიიღეს, ისინიც წავიდნენ.

◆ 31 ოქტომბრის ღამეს **ბათუმში გაძარცვეს** სამხრეთ-რუსეთის ბანკის განყოფილება. დასცემია რვა კაცი. წაუღიათ ათასი თუმანი. თავდამცემნი ვერ დაიჭირეს. მეორე დღეს შუა ქალაქში შუადღისას ვიღაც კაცმა მოჰკლა სატუსაღოს ზედამხედველი ალექსეევი. ბათუმში ხელ-ახლა დაწყებულა გაფიცვა.

◆ მოსკოვში დაარსდა სრულიად რუსეთის **ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა ბიურო**. ბიურომ რუსეთის ქალაქებიდან მიიწვია ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა დელეგატები კავშირის დასაარსებლად. როგორც ვიცით, ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებმა ბევრჯელ სცადეს დელეგატების ასარჩევად საერთო კრების მოხდენა, მაგრამ მთავრობამ ნება არ დართო. თავიანთი გაჭირვება მოხელეებს უცნობებიათ პეტერბურგში ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ სამართველოს უფროსის სევასტიანოვისთვის, რომლისაგანაც გუშინ-წინ მოხელეთ შემდეგი დეპეშა მიიღეს: 17 ოქტომბრის მანიფესტი სახელმწიფო სამსახურში მყოფ მოხელეებს მოთხოვნილებათა შემუშავების უფლებას არ აძლევს და ამიტომ ვინც მოსკოვის ბიუროს მოწოდებისამებრ დელეგატებს აირჩევს და ამ ბიუროში მონაწილეობას მიიღებს, სამსახურიდან დათხოვნილი იქნებაო. ამ დეპეშის შემდეგ მოხელეებმა მოსკოვის ბიუროსაგან შემდეგი დეპეშა მიიღეს: „ბიურო ამხნევებს მოხელეთ და ურჩევს სევასტიანოვის განკარგულებას არ დაემორჩილონ და დელეგატები მაინც გაგზავნონ მოსკოვში“. ბიუროს ამასთანავე დეპეშით უთხოვნია გრაფ ვიტტესთვის, დაუყოვნებლივ სამსახურიდან იქნეს გადაყენებული სევასტიანოვი და მინისტრის ამხანაგი დურნოვო, მომავალი მინისტრი განზრახულ ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტროსი.

◆ კოჯრიდან შემდეგს გვატყობინებენ: 26 ოქტომბერს, ღამის 2 საათზედ დ. ჩიქავაძის მუშები, 15-მდე კაცი, ურმებით მიმავალან მანგლისში ხე-ტყის მოსატანად. მეურმეებს წინ დახვედრიათ გურიაში გასაგზავნად მომავალი ჯარი მანგლისიდან. სათადარიგო **ჯარის-კაცები მომავალ მუშებს დაჰრევიან** და დაუწყიათ ცემა კონდახებით, შემდეგ წაურთმევიათ პური, ტანისამოსი და თუ რამე საფასოვანი ჰქონიათ. რამდენიმე კაცისთვის ისე ძლიერ უცემიათ, რომ ექიმებიც დასჭირდათ. ჯარის კაცებს დაუძახნიათ: „თქვენ ბუნტოვშჩიკები ხართ, ყველას ყელები უნდა გამოგჭრათ, თქვენის გულისათვის შეწუხებულნი ვართო“ და სხვანი.

◆ გუშინ, 2 ნოემბერს, ტფ. ვაჟთა მეორე გიმნაზიის დარბაზში მოხდა **კრება ტფილისელ პედაგოგებისა**. კრებას დაესწრო 300-ზე მეტი პედაგოგი და სხვა ხალხი. კრებამ, ხანგრძლივის თათბირის შემდეგ, გადასწყვიტა: ეხლავე შეუდგეს სწავლას ყველა სასწავლებელში. შეიმუშავეს შესაფერი რეზოლიუცია, რომელიც ათის მუხლისაგან შესდგება.

◆ როგორც გავიგეთ, მინგრელსკის პოლკიდან დღევანდლამდე 100 **ჯარის-კაცი გაქცეულა** და გადამალულა.

◆ თუმცა ტფილისში **პოლიტიკური დამნაშავენი** გაანთავისუფლეს, მაგრამ, როგორც გავიგეთ, იგინი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან. ამათთვის დაუვალებიათ, თავ თავის დროზე პოლიციას გამოეცხადნენ ხოლმე.

◆ გუშინ, 2 ნოემბერს, კავკასიის სამხედრო სასამართლომ განიხილა საქმე ოზურგეთის მაზრის გლეხის მირიან ჭანტურიშვილისა, რომელსაც **ჰბრალდებოდა უბნის ზედამხედველის ზბოროვსკის მოკვლა**. ეს მკვლელობა მოხდა სადგურთან. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ჭანტურიშვილი და გადაუწყვიტა 15 წლით კატორგაში გაგზავნა.

◆ დღეს, 3 ნოემბერს, დანიშნულია **კრება ტფ. ქალაქის საბჭოსი**. სხვათა შორის, კრება აარჩევს მოსკოვში გასაგზავნ დელეგატებს.

◆ მალე გამოვა რუსულად წიგნაკი, სადაც დაწვრილებით და სურათებით **აწერილი იქნება პირველ გიმნაზიის აკლების ამბავი**.

◆ როგორც გავიგეთ, ბ-ნი ქალანთარი აღარ უთმობს **თავის გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ ბ-ნ ვერმიშევს**.

◆ **ფუნიკულერის საზოგადოების გამგეობამ** ტფილისში არსებულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს წინადადება მისცა, სახალხო მიტინგები მამადავითის გორაზე გამართონ ხოლმე. თუ ორგანიზაციები თანახმანი იქნებიან, საზოგადოება თანახმაა მიმოსვლის ფასი დაუკლოს.

◆ როგორც გავიგეთ, სიღნაღის მაზრის ზოგიერთ სოფლების დროებით ვალდებულ **გლეხებს უარი განუცხადებიათ** მემამულეთათვის ღალის ძლევაზე.

◆ მთავრობას განზრახვა აქვს, **ამიერკავკასიის რკინის გზა ჩამოართვას** გზათა სამინისტროს და სამხედრო უწყებას გადასცეს.

◆ ამ ცოტა ხანში ქართლ-კახეთის **სამღვდელოების კრება მოხდება** ბლაღოჩინთა ამოსარჩევად.

◆ პირველ გიმნაზიის დირექტორმა აცნობა პროკურორს ის ზარალი, რომელიც **გიმნაზიას 22 ოქტომბრის აკლების დროს მოუვიდა** სულ ზარალი 10,000 მანეთისაა, გარდა გატაცებულ ფულისა.

◆ 20 ოქტომბერს მეტეხის ციხიდან გამოუშვეს სხვებთან ერთად ლადო შევარდენიძეც. სამწუხაროდ, შევარდენიძეზე საშინელი ხმა გაუვრცელებიათ—ამხანაგები გასცაო. როგორც ნამდვილის წყაროებიდან გამოვკვლიეთ, ეს ხმა უოველ საფუძველს მოკლებულია.

◆ დღეს, 3-ნოემბერს, დაჰკრძალავენ გვამს 1 გიმნაზიის მე-8 კლასის მოსწავლის აზარპეტოვისას, რომელიც სასიკვდილოდ დასჭრეს 22 ოქტომბერს ხოცვა-ჟლეტის დროს და რომელიც მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

◆ როგორც გავიგეთ, სიღნაღის მაზრაში მოუკლავთ უზუნდარის სოფლის საზოგადოების მამასახლისი არმაკ პერიზანოვი.

ᲛᲝᲙᲚᲣᲚ-ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲣᲠᲣᲚᲔᲑᲘ

ყაზახების თავგასულობამ და თვით-ნებობამ დიდი ზარალი და ვნება მიაყენა გურულებს. უკვე მივიღეთ დაწვრილებითი ცნობები უკანასკნელ ამბების დროს მოკლულ-დაჭრილთა და დაზარალებულთა შესახებ. წინადაც ვწერდით, რომ გამხეცებულმა ყაზახებმა ოზურგეთის მახლობლად მთელი სოფელი გადასწვესო. გაანადგურეს სულ 96 მოსახლის ოჯახი. გადაუწვავთ ყველაფერი—სახლები, ბეღლები და სხვა შენობები. ამ გადამწვარ გურულებს, პირუტყვის მეტი არაფრისაგან არაფერი დარჩენიათ. გადამწვართა სიას ქვემოდ ვათავსებთ, აქ-კი აღვნიშნავთ მოკლულ-დაჭრილთა გვარებს.

20 ოქტომბერს, იმ შეტაკების დროს, რომელიც სუფსას და ნატანებს შუა მოხდარა, გურულების მხრივ მოკლულ იქმნა ერთი კაცი—თომა ბაღდავაძე.

21 ოქტომბერს, ოზურგეთიდან $1^1/_2$ ვერსის მანძილზე ნატანებისაკენ, ყაზახებმა მოჰკლეს 70 წლის მოხუცი ქეწიშვილი გიორგი ლომაძე.

22 ოქტომბერს ოზურგეთსა და ახლო-მახლო მოჰკლეს შემდეგი შვიდი კაცი: პავლე ძაგანიძე, გიორგი ლომაძე, ანდრია დონდოლაძე, არსენ ხინთიბიძე, სოფრომ ღოღიძე, ამბაკო სულუქაძე, (ეს ნასაკირალზე მოჰკლეს) და ბესარიონ[illegible] ჯასუტაშვილი.

დასჭრეს ხუთი კაცი: სოფრომ ღოღიძის ასული, თევდორე ტრაპაიძე, სამსონ მამალაძე, კონსტანტინე ხოშერიკი და სილიბისტრო ღლონტი.

აი, იმ ოთხმოცდა თექვსმეტ მოსახლის გვარები, რომელთაც ყაზახებმა მთელი სახლკარი და ქონება გადაუწვეს ოზურგეთის მახლობლად.

ტრაპაიძე ლუკა, ებრალიძე გრიგოლ, შაინოვი ილიკო, კონტრიძე ილიკო, ჩხარტიშვილი, თ. ზამბახიძე, ვადაჭკორია ივანე, ზამბახიძე ივანე, ზამბახიძე მიხეილ, ჩიგოგიძე ვასილ, წულაძე აპოლონ, მენაბდეები: სიმონ, ისიხი, ანტონ, სოლომონ, ვარდანაგ, ივლიანე, გაბრიელ, ივანე, ალმასხან, ილარიონ, ლუკა, ნიკიფორე; ღლონტები: სილიბისტრო, ასლან, დიმიტრი, ვლადიმერ, დარისპან, გიორგი, ილიკო, თეოფილე, იაგორ, მაქსიმე, ანდრია, მოსე, სარდიონ, სტეფანე, მალაქია და ექვთიმე; ჩავლეშვილი იაკობ, ჩხარტიშვილი ანტონ, გოგოტიშვილი ოქროპირ, მამულაიშვილი მიხეილ, მამულაიშვილი ლევან, ხუჭუა ალექსი, ნიკოლაიშვილი ივანე, ფიჩხაძე ანტონ; სკანკოჩაიშვილები: სიმონ, ალექსი და კონსტანტინე; დათუნაიშვილები: ვასილ, გიგო და გიორგი; ბერიძე გიორგი, თავაძე ვასილ, ბერიძე ალექსი; გოგუაძენი: ივანე, იორამ, გიორგი; ხოჯანია ლუკა, მაღლაკელიძე ალექსი; ცხომელიძენი: ალექსი, ვატა, მიხაკო და იერემია; ხინთიბიძე არსენ, სალუქვაძე ივანე, გელაძე პავლე, თავდიშვილი ივანე; ჯაველიძენი: თედორე, ალექსი და პორფილე; რუსიეშვილნი: საყვარელ, მიხეილ, ივლიანე, ისააკ და ვალიკო; სიმონიშვილი მელიტონ, ფიფია კოსტა, დონდოლაძე ანდრია, როხაძენი: გიორგი, ანდრია, ამბაკო და კონსტანტინე; ჩხაიძე ივლიანე, მახარაძე სამსონ, დონდოლაძე გიორგი, ერქომაიშვილი იობი, ბერიძე ნინო, ჯაფარიძე სანდრო, თავდიშვილი თეოფილე, მელიქაძე გაბრიელ, მახარაძე ნესტორ, ლაჯანია მიხეილ და ჩხაიძე სვიმონ.

ამას გარდა გადასწვეს დუაბზუის კანცელარია და საპარკე ქარხანა დუაბზუში.

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

„პაწია ჰეროსტრატი“

ყოველ დროს თავისი „გმირები“ და სახელოვანი კაცები ჰყავს.

მაგრამ სახელიც არის და სახელიც.

მაგალითებრ, ისეთი ახირებული ადამიანი რომ გამოჩნდეს, ჭკუათა მყოფელი, რასაკვირველია, რომ გოლოვინის პროსპექტზედ კვირას შუადღისას ადამის ტანისამოსით დაიწყოს სეირნობა პაპიროსის წევით, ისიც სახელს გაიგდებს, მთელს ქალაქსა და ქალაქს გარეშეც ყველას აალაპარაკებს.

ესეც სახელია!..

მოგეხსენებათ, ჰეროსტრატმაც სახელი გაითქვა მარტო იმით, რომ ეფესში დიანას ტაძარი დასწვა.

ერთი ასეთი სახელოვანი ამ ბოლოს დროს ჩვენს ქალაქსაც მოევლინა.

ეს ბატონი გახლავთ „საგანგებო საქმეთა მოხელის თანამდებობის აღმასრულებელი“ ნიკოლოოზ ვიქტორის ძე პროკოპე.

არ გვინდა მისი სახელოვანება დავუკარგოთ შთამომავლობას და ამიტომ საჭიროდ ვცანით „საქმენი მისნი საგმირონი“, უკვე სხვათა მიერ აღიარებულნი, ჩვენს გაზეთშიაც აღვნიშნოთ.

ეს „საგანგებო“ ვაჟბატონი 21 ოქტომბერს, როდესაც 17 ოქტომბრის მანიფესტით აღტაცებულნი პირველ კლასსიკურ გიმნაზიის მოსწავლენი მარსელიეზას უკრავდნენ და „პატრიოტად“ წოდებულ, ხოლო „ხულიგანად“ ცნობილმა ბრბომ აწ უკვე მთელს რუსეთში მძარცველებად აღიარებულ „ყაზახების“ შემწეობით ჩააჩუმა გიმნაზიის მოსწავლენი, ქუდ-მოგლეჯილი შევარდა თურმე გიმნაზიის შენობაში და ერთი აურზაური ასტეხა.

დაუწყო რისხვითა და სამუქარო თითის ქნევით ჯავრობა გიმნაზიელებს: თქვენ, „მარსელიეზას“-კი არა, „ღმერთო, ჰფარვიდე მეფეს!“ უნდა უკრავდეთ და ჰგალობდეთ, ეს, გიმნაზია-კი არა, იცით რა არისო! დაიძახა თურმე ამ არა-მკითხე დამრიგებელმა.

ესაო... ბოდიშს ვიხდით განმეორებისათვის... **„საროსკიპო სახლიაო“!**

ამ მშვენიერს, წარმოთქმელის ღირსს შედარებას ისიც დაატანა თურმე „საგანგებო საქმეთა“ პროკოპემ, რომ მეც გიმნაზიაში მისწავლია, უმაღლესი სწავლაცა მაქვს მიღებული და ამიტომ ჩემს თავს ინტელიგენტადა ვთვლიო.

როგორ მოგწონთ, მკითხველო, ეს გიმნაზია და საროსკიპო სახლი?!.

ნათქვამია, მელას რაც აგონდებოდა, იი ეზმანებოდაო.

ეტყობა, ამ „საგანგებო საქმეთა მოხელის“ გონებაში თუ საგონებელში საროსკიპო სახლს დიდი კვალი დაუჩნევია, რომ მისმა ჭკუა-მახვილობამ ამ შეუდარებელს შედარებასა და შეფარდებას მიაგნო.

უზმოზედ ადამიანი ვერც კი მოისაზრებს ასეთის მსგავსებისა და ერთობის შეტყობასა და შემჩნევას.

ეტყობა, ბ-ნი „ინტელიგენტი“, უზმოზედ კი არა, ძალიან **„ზმოზედ“** ყოფილა, რომ თავისი ინტელიგენტობაც დავიწყებია, „საგანგებო საქმეთა მოხელეობაც“ და თავისი გონების აღმაფრენა საროსკიპო სახლისაკენ გაუნავარდებია ამ „მშვენიერ“ შედარების გამოსაძებნად.

მერე განა მარტო „საგანგებო საქმეთა მოხელეობა“ და ინტელიგენტობა დაუვიწყებია „სახელოვანს“ პროკოპეს?...

წარმოიდგინეთ, თურმე იგივე ბ-ნი პროკოპე ტფილისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის საქმეთა მმართველიცა ყოფილა!..

მოდი და ნუ გაიკვირვებ, როდესაც ერთის ყოვლად ღირსეულ სასწავლებლიდგან გამოსულს და მეორე სასწავლებელში „არა-მკითხედ“ მისულს ადამიანს გონება საროსკიპო სახლისაკენ მიუქრის!..

რად ჩაიდინა ეს, თუ არ იმად, რომ ჩვენის ქალაქის „პაწია ჰეროსტრატუნად“ ქცეულიყო და „სახელი“ მოეხვეჭა.

მოდი და ნუ ეტყვით ამ ვაჟბატონს:

ეჰ, ბატონო პროკოპე,
ძალიან შორს შესტოპე!..

დიოგენი

ᲮᲛᲐ ᲨᲝᲠᲘᲓᲐᲜ

II

დღეს და გუშინ

პეტერბურგი, 23 ოქტომბერი 1905 წ.

დღეს უნდა დაესაფლავებინათ დიდის ამბით 18 ოქტომბერს მოკლულნი (იმათ შორის ერთი—როგორც მკითხველებმა უკვე იციან—ქართველი სტუდენტია. ალექსანდრე ბიბილაური) ყაზანის სობოროს მოედანზე (ნევის პროსპექტზე) უნდა მოეყარა თავი ხალხს პეტერბურგის ყველა უბნებიდან. უკანასკნელთ განსაკუთრებული ფერის დროშა უნდა ჰქონოდათ. ყაზანის სობოროს მოედნიდან მთელი ხალხი, რომლის რიცხვი 150 ათასამდის უნდა ასულიყო, გაემართებოდა ნევის პროსპექტით სასაფლაოზე წითელ დროშებით და „მარსელიეზას“ სიმღერით.

ასეთი გეგმა ჰქონდათ შემდგარი, მაგრამ სურვილი ხალხისა არ გახხორციელდა: დღეს დილით გამოცხადდა, რომ ძიცვალებულნი გუშინ საღამოთი დაუსაფლავებიათ... ეს ამბავი ხალხმა დღეს გაიგო...

დილითვე პეტერბურგში გამოაკრეს გენერალ ტრეპოვის განცხადება: „პოლიცია არ შეუშლის ხელს არეულობის დროს მოკლულთა დასაფლავებას (იმათ, რომელნიც ჯერ არ დაუსაფლავებიათ), მხოლოდ არეულობის ასაცილებლად მანიფესტაციის და ხალხის ერთად თავის შეყრის ნებას ვერ მივცემთ, რადგან ერთი ნაწილი საზოგადოებისა მეორეს ხელში იარაღით ებრძოლებაო“...

პოლიციამ ნება დართო დაესაფლავებინა ხალხს ის, ვინც დაუსაფლავებელი იყვნენ. მაგრამ უბედურობა ის არის, რომ ყველანი წინ დღით დაესაფლავებინათ. ამ მიზეზის გამო ხალხი ვერ შეიკრიბა და მანიფესტაციაც არ მომხდარა...

მიუხედავათ ამისა მთელი ნევის პროსპექტის ორივე მხარე სავსე იყო ხალხით, არა ჩვეულებრივი მოძრაობა იყო, არა ჩვეულებრივ ძლოლდინში იყვნენ მოქალაქეni. ყველამ კარგად იცოდა—სად იყვნენ მიცვალებულნი, მაგრამ მაინც არ შეაოდებოდნენ ნევის პროსპექტს.

დრო გამოშვებით ნევის პროსპექტზე ხედავდით ეტლით მიმავალ ქალს თუ კაცს ხელში წითელ ლენტებით მორთულ გვირგვინებით. ეს გვირგვინები მიჰქონდათ არეულობის დროს მოკლულთა საფლავზე დასადებად.

ჯარის კაცნი, ჟანდარმები და პოლიცია თავიანთ ყურადღებას არ აკლებდნენ ნევის პროსპექტზე თავმოყრილ ხალხს...

ასე სულ-გულ ნატკენი იდგა აუარებელი ხალხი, რა ექნა—არ იცოდა...

ამ დროს ხიდის მოაჯირზე შედგა ერთი ახალგაზრდა და ხმა მაღლა დაიძახა:

„მოქალაქენო! კომიტეტის სახელით და მონდობილობით გთხოვთ დაიშალოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელია ჯართან შეტაკება არ მოხდეს, ეს შეტაკება-კი დღეს მეტი და უადგილოა. ამიტომ კომიტეტის მონდობილობით გთხოვთ დაიშალოთ“.

ხალხის მდგომარეობა ამ მოციქულის სიტყვებმა გამოარკვია და ყველა, ვით ერთი კაცი, დაემორჩილა ორატორის რჩევას.

ხალხი დაიშალა...

გუშინ სულ სხვას ფიქრობდნენ პეტერბურგელნი, გუშინ ყველას ცოცხლად ეხატებოდა თვალწინ მოძავალი დიადი სურათი მოკლულთა დასაფლავებისა, მაგრამ დღევანდელმა დღემ ასეთ ფიქრს მეტად სასტიკი მსჯავრი დასდო...

ასეთი გახლდათ დღევანდელი დღე...

გუშინ? გუშინ რაღა მოხდა?..

გუშინდელი დღე მეტად საინტერესო იყო ყველასთვის...

ჯერ ერთი—პოლიტიკურ დამნაშავეთა უმრავლესობა ყველგან განთავისუფლებულ იქნა. განთავისუფლებულნი არიან უბრალოდ ტანჯულ-წამებულნი. მაგრამ ამნისტია სრული არ არის და ამიტომაც საზოგადოება ითხოვს ყველა პოლიტიკურ დამნაშავეთა განთავისუფლებას.

მეორე—ბეჭდვითი სიტყვის დასაცველ კავშირის გადაწყვეტილების თანახმად გუშინ აქაური გაზეთები უცენზუროდ გამოვიდნენ. მაშასადამე გუშინ რუსეთში პირველად გამოვიდა თავისუფალი გაზეთი...

გაზეთი „რუსი“ ამ დიად დღის აღსანიშნავად ახალ ნომერაციით გამოვიდა დღევანდელი გაზეთი 1-ლი №-ია.

გაზეთების ყველა სტრიქონებში ნათლად გამოიხატებოდა რედაქციების თავისუფალი სუნთქვა...

დარწმუნებული ვარ, ცენზურისთვის რომ წარედგინათ გუშინდელი გაზეთები, ნახევარზედ მეტი ამოშლილი იქნებოდა...

განა იმ ცნობებს, რომელნიც ჩვენის გაზეთის მუდმივმა თანამშრომელმა გადმოსცა

რედაქციის ტელეგრამით, სხვა დროს ადგილი ექნებოდა?

არას დროს...

რა თავისუფალი სიტყვები იყო ყველა იმ კითხვებზე, რომელნიც დღეს ყველას გულს უკლავს, ყველას აინტერესებს:—მნიშვნელობა მანიფესტისა, თვითმპყრობელობის ძალის შერყევა, მმართებლობის კაპიტულიაცია, ხალხის გამარჯვება და მისი მომავალი, პოლიციის უხამსო ქცევა, ტრეპოვის მოქმედების გარჩევა და სხვა და სხვა, რასაც ცენზორი დიდის სიამოვნებით გადაუსვამდა წითელ მელანს...

ბევრნი, ასეთ ახალ ნიავის დაქროლით გაკვირვებულნი, თავიანთ განცვიფრებას არ მალავდნენ და ამბობდნენ, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით ყველა გაზეთები შეჩერებული იქნება და დაბეჭდილ ნომრებს დაიჭერენო, მაგრამ ბეჭდვითი სიტყვას აგრე აბუჩად აწ ვერვინ მოექცევა...

მალაქია ბოლქვაძე.

პრესსა

გაზ. „ნაშა ჟიზნ“-ი აღნიშნავს კიდევ ხალხის ერთ გამარჯვებას რუსეთის ბიუროკრატიულ-ცენტრალისტურ რეჟიმის წინააღმდეგ. გაზეთი ამბობს:

> როგორც იქმნა, გაუქმდა ყბად-აღებული უკანონო სამხედრო წესდება 1901 წლისა, რომელმაც ამდენი სამართლიანი წინააღმდეგობა გამოიწვია მთელ ფინლიანდიაში. მთავრობამ კარგად იცოდა, რომ ფინლიანდიის მარტო დაპირებით დამშვიდება ძნელი იყო, და ამიტომ გარანტიებიც მისცა. მთავრობა დროა იმასაც მიხვდეს, რომ მარტო დაპირებით რუსეთის დამშვიდებაც ძნელია და რომ ის გარანტიები, რომელიც ფინლიანდიას მისცა, უნდა რუსეთსაც მისცეს. ეს გარანტიებია: გაძლიერებულ დაცვის საომარ დროის წესების მოსპობა, მოსპობა ყოველნაირ დიქტატურისა: ტრეპოვისა, კავკასიის ნამესტნიკისა და ყველა სხვასი, გენერალ-გუბერნატორებიდან დაწყებული პოლიციის მოხელემდის. ყველა გულ-მოდგინე დიქტატორები უნდა სამსახურიდან გადაყენებულ იქმნ6.
>
> ჩვენ ვულოცავთ თავისუფალ ფინლიანდიელებს გამარჯვებას და მხურვალე სალამს ვუძღვნით მათ განახლებულ ცხოვრებას. გვჯერა, რომ დროშა უფლებრივ წეს-წყობილებისა, რომელიც ფინლიანდიამ აღმართა, აღიმართება რუსეთშიაც, რომელიც ჯერ-ჯერობიც „დაპირებით“ სცხოვრობს.

დიაღ, კარგია გაზეთის ამგვარი მოსურვება, მაგრამ ასრულდება ესა? შეიგნებს ამას მთავრობა? ფინლიინდიამ ეს გარანტიები მიიღო მხოლოდ იმიტომ, რომ თვით ხალხს, დიდით პატარამდე ყველას, ესმოდა თავისი საჭიროება, და მზად იყო მის მოსაპოებლად რუსეთში-კი შესძლებს ამას ხალხი? აი საკითხი.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

დ. ძირულა, 2 ნოემბერი. დღეს საათის 3-ზე ორი მატარებელი დაეჯახა ერთმანერთს. მოკლულია 8, დაჭრილია 27 ჯარის კაცი. მატარებლები ჯარის-კაცებით იყო სავსე.

31 ოქტომბერი.

პეტერბურგი. გაზეთების სიტყვით, ფინლიანდიის გენ.-გუბერნატორი და მისი თანაშემწე დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან.

გზათა სამინისტროში გამოიანგარიშეს, რომ გაფიცვას 26 მილიონი მან. ზარალი მიუცია ხაზინისათვის. ეს ჯამი შეეხება მხოლოდ სამგზავრო ბილეთების ფასს რკ. გზებზე.

სახელმწიფო საბჭოს გადაკეთების პროექტი უკვე შემუშავებულია და წარდგენილ იქნება მინისტრთა საბჭოში განსახილველად. თანახმად პროექტისა, სახელმწიფო საბჭოსთვის არჩეული წევრები ოთხის რაზრიადისა იქნება: მიწათ-მფლობელთა, მართლ-მადიდებელ და სხვა სარწმუნოების სამღვდელოებათა და ბირჟის კომიტეტის წარმომადგენელნი. პირველთათვის დადგენილია 2500 დესეტინა მიწა ცენზად. მართლ-მადიდებელ სამღვდელოებას 10 წარმომადგენელი ეყოლება. მათ სინოდი დანიშნავს; არა მართლმადიდებელ სამღვდელოებასაც 10 წარმომადგენელი ეყოლება, ბირჟის კომიტეტებს-კი 6. მათ 5 წლით აირჩევენ.

სახელმწიფო საბჭომ დაადგინა, 1906 წლისათვის თავდასახსნელი გადასახადი 26 მილიონით შეამციროს ზოგიერთ გუბერნიებში.

ამას გარდა გადაწყვეტილია, სრულებით განათავისუფლონ იაპონიასთან ომში მოკლულების ოჯახები ყოველგვარ სახელმწიფო გადასახადისაგან, იმ ოჯახებში-კი, საცა რამდენიმე მუშა ხელია, შემცირებულ იქნას გადასახადი მოკლულ მუშების რაოდენობასთან შეფარდებით.

სახელმწიფო ეკონომიის დეპარტამენტმა დაადგინა, რადგანაც 26 მილ. მან. შემცირდება 1906 წ. თავდასახსნელი გადასახადი და ამითი სახელმწიფო შემოსავალს აკლდება, სამაგიეროდ მომატებულ იქნას სადამოჟნო ტარიფით.

1 ნოემბერი

პეტერბურგი. მღ. გრიგორი პეტროვის მოწოდებით 40 მღვდელმა მიმართა მიტროპოლიტ ანტონის წერილით და სთხოვა, იშუამდგომლოს ხელმწიფის წინაშე მიუტევოს კრონშტადტში აჯანყებულ მატროსებს და სრულებით მოსპოს სიკვდილით დასჯა რუსეთში. მიტროპოლიტმა აღუთქვა, რომ იგი დაუყოვნებლივ მისწერს წერილს ხელმწიფეს მატროსებისთვის მიტევების შესახებ.

სახელმწიფო საბჭოს შესახებ დამატებითი ცნობები: საბჭოში არჩევის ნება არა აქვთ ქალებს, უცხოეთის ქვეშევრდომთ, 40 წელზე ნაკლებთ და საშუალო სასწავლებლები ვისაც არა აქვთ გათავებული. მეცნიერებათა აკადემია ირჩევს ორს წევრს, თვითეული უნივერსიტეტი თვითო კაცს ორდინარ პროფესორების რიცხვიდან. არჩეულ წევრებს წელიწადში 10 ათასი მანეთი ექნებათ. მინისტრებსა და ცალკე ნაწილების მთავარ მმართველთ არ შეუძლიანთ წევრად ყოფნა და სახელმწიფო საბჭოში დასწრება. მინისტრები ვალდებულნი იქნებიან განმარტებანი მისცენ, ვისაც ჯერ არს, თუ ამას საბჭო სცნობს საჭიროდ. ბეჭდვით სიტყვის წარმომადგენლად შეიძლება იმ პირის დასწრება, რომელსაც პირადათ იცნობს თავმჯდომარე საბჭოსი. საბჭოს ნება აქვს თავისი აზრი გამოსთქვას ახალ კანონების გამოცემაზე. სახელმწიფო სათათბიროს დასკვნანი საკანონმდებლო მოსაზრებებით სახელმწიფო საბჭოს საზოგადო კრებას გადაეცემა. თუ უთანხმოება მოხდა, საბჭოს დასკვნა წარედგინება უმაღლესად განსახილველად სახელმწიფო სათათბიროს დასკვნასთან ერთად.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

1 ნოემბერი

პეტერბურგი, 31 ოქტომბერი. ოფიციალური. 17 ოქტომბრის მანიფესტის მეორე პუნქტში ნაბრძანებია, ეხლავე მოწვეულ იქნან სახელმწიფო სათათბიროში სამონაწილეოდ მცხოვრებთა ის კლასებიც, რომელთაც საარჩევნო უფლებანი სრულებით არ აქვთ. ამჟამად მინისტრთა საბჭოში იხილვენ საარჩევნო უფლების გარემოების საკითხს. საკითხი ახლო მომავალში გადაწყდება და დაუყოვნებლივ მოხდება არჩევნები.

პეტერბურგი, 31 ოქტომბერი. ოფიციალური. ინსტრუქცია გენ.-ადიუტანტებს, რომელნიც სარატოვისა, ჩერნიგოვისა და ტამბოვის გუბერნიებში იგზავნებიან იქ წესიერებისა და სიმშვიდის აღსადგენად: 1. გენ.-ადიუტანტებს ებარდებათ მთავარი უფროსობა ყველა ჯარებისა და პოლიციისა, რომელნიც ხსენებულ გუბერნიებში არიან: 2. სანამ ისინი ამ გუბერნიებში იქნებიან, ყველა სამოქალაქო, მთავრობისა და საზოგადო დაწესებულებანი, გარდა სასამართლოებისა და სახელმწიფო კონტროლისა, ვალდებული არიან შეასრულონ გენ.-ადიუტანტების ბრძანებანი: 3. გენ.-ადიუტანტებს ნება ეძლევათ, წესიერების აღდგენისა და მშვიდობიანობის ჩამოგდებისთვის. ა) ხსენებულ გუბერნიებში გადააყენონ სამსახურიდან ყველა სამსახურის პირნი, როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადო დაწესებულებებში, ბ) დახურონ ღვინის დუქნები, სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებანი, გ) შეაჩერონ გამოცემა გაზეთებისა, ჟურნალებისა, განცხადებებისა, ბროშიურებისა და სხ. და დ) გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი შესახებ საზოგადოებრივ წესიერების დაცვისა, 4. ზემოხსენებულ მუხლებში მოყვანილი განკარგულებანი ძალაში დარჩება, სანამ გენ.-ადიუტანტები ხსენებულ გუბერნიებში იქნებიან; 5) თუ რამე ეჭვი და გაუგებრობა მოხდა, გენ.-ადიუტანტებმა უნდა მიჰმართონ შინაგან საქმეთა სამინისტროში.

ლონდონი, 31 ოქტომბერი. „ტაიმს“-ი ამბობს, რუსეთის ახლანდელ მდგომარეობას განჰკურნავს არა კრიტიკა ლიბერალებისა, არამედ შეგნებული მუშაობა.

პეტერბურგი. გზათა მინისტრმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ყველა გზების უფროსებს, გარდა სამარა-ზლატოუსტისა, ციმბირ-ზაბაიკალსკისა ჩინეთისა, აღმოსავლეთ-უსურისკისა, იმიერ კავკასიისა და კავკასიისა: „ხელმწიფე იმპერატორმა 28 ოქტომბერს გააუქმა სამხედრო წესები ყველა გზებზე, გარდა სამარა-ზლატაუსტის, კავკასიისა და იმიერ-კავკასიის გზებისათ“. სამხატვრო აკადემიის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი გრაფი ტოლსტოი დაინიშნა საერთო განათლების მინისტრად.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

1 ოქტომბერი.

დუშეთი, 31 ოქტომბერი. დღემდის არაა გამოცხადებული არც 17 ოქტომბრის მანიფესტი და არც 21-ისა ამნისტიის შესახებ.

ნემიროვი, 31 ოქტომბერი. არეულობები მოსპობილ იქმნა.

ნიკოლაევი. ადგილობრივმა პედაგოგებმა დაადგინეს, დააარსონ კავშირი. კრებამ გადასწყვიტა, განათლების საქმე სულ ერთიანად ქალაქებსა და ერობებს გადასცეს და დირექტორები არჩევითი წეს-რიგით ინიშნებოდნენ.

ლონდონი, 31 ოქტომბერი. გაიმართა დიდი კრება ებრაელებისა რუსეთში ებრაელების ჟლეტის წინააღმდეგ პროტესტის განსაცხადებლად. წაკითხულ იქმნა დეპეშები გამოჩენილ პირებისა — ბალფურის, როზბერრისა და ჩემბერლენისა. პირველის სიტყვით, მთავრობა ძლიერ შეუწუხებია ებრაელების დახოცვას რუსეთში, და ყოველი ზომები მიუღია დაზიანებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად. როზბერრი მხურვალე სალამს უგზავნის კრებასა და ამბობს, რომ იგი პროტესტს აცხადებს არა ერთის რასსის სახელით, არამედ მთელის ქვეყნიერებისათ. ჩემბერლენიც მიესალმება კრებას და ამბობს, რომ იგი საყოველთაო წყრომის გამომხატველია იმ ჟლეტა-ხოცვის წინააღმდეგ, რომელიც ჩირქს სცხებს ცივილიზაციას.

ტოკიო. იაპონიაში დიდი შიმშილობაა. ბევრი ხალხი იხოცება უჭმელობით. ამბობენ, რომ საჭიროა მცხოვრებლების წაქეზება მანჯურია-კორეიაში გადასახლებაზედ.

ქრისტიანია, 1 ნოემბერი. 290 ოლქში დანიის პრინცის სასარგებლოდ 185,283 ხმა მიიცა წინააღმდეგ 53,807-სა.

ვენა, 1 ნოემბერი. „ავსტრიის ლლოიდი“ აცხადებს, რადგანაც ბათუმში კიდევ იფეთქა არეულობამ, ამიტომ იძულებული ვართ შევწყვიტოთ იქითკენ გასაგზავნ ტვირთის მიღებათ.

პეტერბურგი, 1 ნოემბერი. 22 ოქტომბრიდან გადაყენებულ იქნენ სამსახურიდან ფინლიანდიის სენატის სენატორები, თანხმად თავიანთ თხოვნისა, სოლმანი, სტრენგი, კუმლინი, ანდერსენი, ლილებლადი, ჰუმბერსი, ელმანი, ბერლუნგი, კიტტინგი, მოლინი, ფოძემი, ბოუგრჰჯენმი, ფელმანი, ჰენეცი, ჩილმანი, გრიპენბერგი, ლანგი, ნეოვიუსი, ფოკი და ხილდენსი.

პოლონეთის შესახებ მომხდარი განკარგულება ძლიერ მოსწონს „ნოვოე ვრემია“-ს, რაზედაც ის სტატიას ათავსებს დღევანდელ ნომერში; მას თანაუგრძნობს „სლოვო“, „სვეტი“ კი აუარებელ ჯარის გაგზავნას ითხოვს შეამბოხეთა გასათელავად. „რუსი“, „ნაშა ჟიზნი“, „ნოვოსტი“, „ბირჟ. ვედომოსტი“ და „სინ-ოტეჩესტვო“ აძაგებენ მთავრობის ქცევას.

მოსკოვი, 31 ოქტომბერი. მოსკოვის რაიონის მეფაბრიკეებმა დააარსეს კავშირი და სამ ჯგუფად გაიყვნენ: სამანუფაქტურო, სამანქანო და ნაწილთა შემადგენელი. კავშირი აარსებს ბიუროს გაფიცვებზე და ბიულეტენებს გამოსცემს რუსეთში გაფიცვების შესახებ, რასაც, მიზნად მეფაბრიკეებსა და მუშებს შორის დამოკიდებულებების გაუმჯობესება ექნება.

ატკარსკი, 31 ოქტომბერი. სოფ. მალანდაში დასწვეს იარმუკა და დაანგრიეს ტელეფონი. აუარებელი ხალხი დაიძრა იქითკენ, სადაც ტუსაღები იყვნენ ჩამწყვდეული, მაგრამ მას გზა შეუკრეს. ხალხმა მოითხოვა დაჭერილების განთავისუფლება, ყაზახ-რუსებისა და ჯარების გაყვანა და სიტყვა მისცა, რომ წესიერება არ დაირღვევა.

კრონშტადტი. კომენდანტმა აკრძალა სარევოლიუციო და მთავრობის საწინააღმდეგო მანიფესტაციები.

კიევი. გაიხსნა უნივერსიტეტი. სტუდენტებს ურიდობა ჰქონდათ გარეშეების დაუსწრებლად.

ვარშავა. გაფიცვა არ შეწყვეტილა. ბრესტისა და მლავის გზებზე ორი წყვილი მატარებელი დადის ჯარის მცველობის ქვეშ.

კელცი. დროებით გენ.-გუბერნატორად დაინიშნა მეთოთხმეტე საკავალერიო დივიზიის უფროსი ბობილევი. გუშინ ტელეგრაფით მიწერ-მოწერა შესწყდა ვარშავასა და პოლონეთის დანარჩენ ქალაქებთან. რუსეთში დეპეშებს შემოსარები გზით ჰგზავნიან.

ხარკოვი. უნივერსიტეტის საბჭომ დაადგინა, არ შეუდგეს მეცადინეობას, სანამ სამხედრო წესებს არ მოხსნიან.

პარიზი, 31 ოქტომბერი. ბრესტის, როშფორის, ლორიანის, შერბურგისა და ტულონის არსენალების მუშებმა დაადგინეს, რომ ხვალიდან გაფიცვა დაიწყონ.

შესდგა „ადამიანის უფლებათა ლიგის“ და „რუსეთის ხალხის მეგობართა საზოგადოების“ მიერ გამართული მიტინგი, რუსეთში ხალხის ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად.

ვენა, 1 ნოემბერი. რკინის გზათა გაფიცვა გათავდა. მთავრობამ დათმო.

კრემენჩუგი, 1 ნოემბერი. ხარკოვის მაზრაში აგრარული მოძრაობაა. სხვა მაზრების გლეხთა შორისაც თავი იჩინა მოძრაობა —არეულობამ.

ვარშავა, 31 ოქტომბერი. პეტერბურგის რკინის გზის ვოლომინოსა და ვარშავას შუა აღმოჩნდა გამოთხრილი ალაგი დინამიტების ყუთებითა და მინებით. სადგურ პრაგაზე იფეთქა ჯოჯოხეთის მანქანამ. ყველა ლიანდაგს ჯარი იცავს.

კელცი, 31 ოქტომბერი. კელეცის გენ.-გუბერნატორის სავალდებულო დადგენილებით შემოღებულია ყველა ქარხნებსა და სახელოსნოში მუშა და მოხელე პირთა სიების შედგენა და საურთიერთო პასუხის მგებლობა. უკეთუ მოხდა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა თავდასხმა, ზარალი შეეწერება ადგილობრივ რაიონის მცხოვრებთ, დამნაშავენი დაპატიმრებულ იქმნებიან სამის თვით და 3000 მანეთი ჯარიმა გადახდებათ.

ლომჟა, 31 ოქტომბერი. ქუჩებში გაკრულია ომიანობის დროის წესების შემოღების განცხადებები. დროებით გენერალ-გუბერნატორად ინიშნება გრიბსკი.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 11 ოქტომბ. 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინისაზე 100 მარკაში.	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები.	94,70
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,70
ბირჟის დისკონტი	5¼—7%
4% სახელმწიფო რენტა	87⅛
4% სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	85,½
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	451½
5% მე-2 შინ. ეს. მომ. ბილ. 1866 წ.	346½
5% გირ. მომ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბან.	280
5% ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	—
4½% ობლიგ. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირვ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურც. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ს. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	200

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო. მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში. უფასო ქალაქის ღამის თავ-შესაფარი სახლები:

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი.

ავლაბარსა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო. ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის. უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, პარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 2 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლ მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ. № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ მოკლეებს იაფად. (30—8)

ქუთაისში

სამ. ბ. თიღფურიას **სამკურნალო,**

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ,** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ტელეფონი პირველი საწყობი № 1051.

შეშისა

✦ პ. ი. ქურცხალიასი ✦

ანდრეევის ქუჩა, დამოქის პირდაპირ. **საკუთარის ტყიდან** მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, თხმელისა და სხვა. მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პოვოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის საჟენი თავისი თვალ-წინ დაადგმევინოს, რადგანაც მყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენებიდან.

(10—2) **გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.**

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნი-ნოვგოროდი.

კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისთვის

უდიდესი ჯილდო

(Grand prix)

პარიზის გამოფენაზე

მიიღო რუსეთში მხოლოდ

ამხანაგობამ

რუსეთ-ამერიკის

რეზინის მანუფაქტურისამ

ს.-პეტერბურგში,

დაარსებულმა 1860 წელს

რეზინის კალოშების

ყიდვის დროს, სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას.

„С.-Петербургъ“

წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანი).

ნარდად გაჰყიდის საწყობები

ნარდად გაშრობას აწარმოვებს სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, ტაშკენტს და ტფილისში.

მსწრაფლმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართვ.-ამხ.“-სა. ვანქის დიდი ქუჩა. ტელეფონი № 372.